



MES 2 21 0000702041



12/07/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 28.06.2021

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 22:05სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია; (VI, VII საკითხები)

სხდომის მდივანი: ეკატერინე ნაცვლიშვილი (I, II, III, IV, V საკითხები)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
- 2. ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 3. მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
- 4. გაიანესიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
- 5. ელენე ყურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- 6. ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. ანზორბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
8. ელიზბარელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. ნიკატიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგილაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. დავითკაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. დიანამჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. ევატერინენაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. თამარჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. თეონამატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. მაკაკაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
17. ნინოინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამარ მახარაშვილი	დირექტორი
2	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ნინო შიოშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ირმა გრძელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I-II-III-IV-V
2.	თამარ ჭელიძე		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	I-II-III-IV-V

3.	რამაზ ხომერივი		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I-II-III-IV-V
4.	დიანა შიშიგური		სადოქტორო საგანმანათლო პროგრამის ბიოლოგია კოორდინატორი	I-II-III
5.	ნანა კოშორიძე		საბაკალავრო საგანმანათლო ბიოლოგია პროგრამის კოორდინატორი	I-II-III
6.	ნანული დორეული		სამაგისტრო საგანმანათლო პროგრამის ბიოლოგია კოორდინატორი	I-II-III
7.	ნინო არჩვაძე		საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამების გამოყენებითი ომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია თანა ხელმძღვანელი	IV-V
8.	ზურაბ ქუჩუკაშვილი		საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამების გამოყენებითი ომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია სურსათის/აგრო მოდულის ხელმძღვანელი	IV-V
9.	ელენე ჩერქეზია		საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამების გამოყენებითი ომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია თვითშეფასების ჯგუფის წევრი, ჯანდაცვა/გარემო მოდულის ხელმძღვანელი	IV-V
10.	ნესტან კეკელია	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი		VI-VII
11.	მარინა ზარქუა			VI-VII
12.	რომეო გალდავა			VI-VII
13.	ვლადიმერ კირცხალია			VI
14.	როინ ბერია			VI
15.	ნანა მაისურაძე			VI
16.	ოთარ ჭკადუა			VII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ბესარიონ ლასარეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III-IV-V

2	ლევან ციციშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III-IV-V
3	ინგა დიასამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
4	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
5	მარიამ აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
6	იზოლდა ხოხაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V
7	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V
8	რევაზ შანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI-VII
9	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	VI-VII
10	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI-VII
11	მამუკა ნადარეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
12	მარიკა ტატიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
13	გიორგი დალაქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	10/28/2011 N211
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ბიოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	კვალიფიკაციის კოდი	0511
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 ECTS
15	განხორციელების ადგილი	

		უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, თსუ XI კორპუსი, 0177, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

1. **2. მეორე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07/11/2012 N189
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ბიოლოგია, 0511
12	კვალიფიკაციის კოდი	0511
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
15	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, თსუ XI კორპუსი, 0177, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

1. **3. მესამე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		07/11/2012 N 198

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სადოქტორო პროგრამა - ბიოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 -ბიოლოგია
12	კვალიფიკაციის კოდი	0511
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30 ECTS
15	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, თსუ II კორპუსი, 0179, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

1. **4. მეოთხე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	9.09.2011 გადაწყვეტილება N06
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		0512 ბიოქიმია

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	კვალიფიკაციის კოდი	0512
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 ECTS
15	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. 13, თსუ მე-11 კორპუსი, თბილისი 0186, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

1. **5. მებუთე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.09.2011 გადაწყვეტილება N 08
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი გამოყენებით ბიომეცნიერებებსა და ბიოტექნოლოგიაში Master of Science (MSc) in A
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0512 ბიოქიმია, Biochemistry 0512.1.2 გამოყენებითი ბიომეცნიერებები ან/და ბიოტექნოლოგია
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
15	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. 13, თსუ მე-11 კორპუსი, თბილისი 0186, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა მარიამ შენგელიამ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ვინაიდან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, ასევე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა თანმიმდევრობის დაცვით, შესვენების გარეშე განეხილათ ხუთივე პროგრამა და ხუთივე პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ემსჯელათ ერთი შესვენების ფარგლებში.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბესარიონ ლასარეიშვილმა აღნიშნა, რომ გადატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მომზადებისას, წარმოიქმნა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც შეძლებისდაგვარად გამოსწორდა, თუმცა შესაძლებელია მცირედი რაოდენობით იყოს დარჩენილი დასკვნაში, რაც ასევე გამოწვეული იყო დროის სიმცირით. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დიდი პასუხისმგებლობით განიხილავდა თითოეულ რეკომენდაციას და მათი სურვილი იყო, მიუხედავად პროგრამის კარგი მახასიათებლებისა, უფრო მეტად გაუმჯობესებულიყო. აღნიშნულ პროგრამას ჰყავდა მაღალი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი. პროგრამის დადებით და ძლიერ მხარეს წარმოადგენდა უცხოელი პროფესორების მონაწილეობა ზოგიერთი საგნის ცალკეული თემების წაკითხვაში, რაც იმუნოლოგიის კათედრის დიდი დამსახურება იყო. პროგრამას ჰყავდა პროფესორი, რომელიც საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო თანამშრომლობას ანხორციელებდა ათეულობით წელი. ექსპერტმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულება რეგულარულად აცხადებდა სტუდენტური კვლევისათვის გრანტებს, გარდა ამისა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ფარავდა აკადემიური პერსონალისთვის იმფაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში პუბლიკაციის გამოქვეყნების და საერთაშორისო კომფერენციებში მონაწილეობის ხარჯებს. დიდი შრომა ჰქონდა დაწესებულებას გაწეული სპეც-კურსებთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნული პროგრამის დოქტორანტურის კურსდამთავრებულები დასაქმებულები იყვნენ მაღალ აკადემიურ და ადმინისტრაციულ

თანამდებობაზე. ფაკულტეტზე რეგულარულად ეწყობოდა ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა კომფერენციები, პროფესორები კვლევებში რთავდნენ დაინტერესებულ სტუდენტებს და ხელს უწყობდნენ მათ.

ხოლო რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები: „გადაიხედოს პროგრამის მიზნები, მოხდეს მათი დაზუსტება და დაკონკრეტება“, „გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, მოხდეს მათი ჩამოყალიბება დარგის სპეციფიკის შესაბამისად, იყოს რეალისტური და შესაბამისი მოცემული სწავლის საფეხურისთვის, ფორმულირდეს ისე, რომ პროგრამის სწავლის შედეგები იყოს ადვილად გაზომვადი და შეფასებადი.“, „დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით კორექტირდეს კურიკულუმის რუკა და შეფასების მექანიზმები, რაც სამომავლოდ მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტური შეფასებისთვის, საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების საჭიროების დასადგენად“ მეორდებოდა მაგისტრატურის საფეხურზეც. ასევე, რეკომენდაციებია „გადაიხედოს სილაბუსები და აღმოიფხვრას თემების დუბლირება, გასწორდეს პრერეკვიზიტები (კორექტირდეს ან ჩაემატოს), საჭიროების მიხედვით მიეთითოს ძირითადი ლიტერატურის უახლესი გამოცემები.“ რომელიც შეეხებოდა, რამოდინიმე სილაბუსს.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის პირველ კურსზე, ისწავლებოდა ქიმიის ორი საგანი („ქიმიის შესავალი“ და „ქიმია“), სადაც დახლოებით თემების 60%-იანი გადაფარვა იყო. ექსპერტთა ჯგუფი იაზრებდა, რომ ბიოლოგიის პროგრამას სჭირდებოდა ქიმიის უფრო ღრმა ცოდნა, რადგან ქიმიაზე დაფუძნებული მთელი რიგი დისციპლინები ისწავლებოდა პროგრამაზე და სწორედ მათ ათვისებისათვის დიდ როლს შეასრულებდა ქიმიის კომპონენტის გაზრდა. ამასთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ გაიწერა რეკომენდაცია - „გაიზარდოს ქიმიის კომპონენტი და შეიქმნას მინიმუმ 3 სასწავლო კურსი, რომლებშიც ასწავლიან შემდეგ თემებს: 1. ზოგადი და არაორგანულ ქიმიის (ნაწილობრივ არსებობს), 2. ფიზ-კოლოიდური ქიმიის საკითხებს, ანალიზური და ფიზიკური ქიმიის კვლევის მეთოდებით, 3. ორგანული ქიმიის თემებს.“ ასევე რეკომენდაცია, „სასწავლო კურსებში გაძლიერდეს ლაბორატორიული მუშაობის კომპონენტი.“ სადაც არა მხოლოდ დემონსტრირება მოხდებოდა, არამედ სტუდენტები უშუალოდ იქნებოდნენ ჩართულები პროცესში, თეორიული კომპონენტი პროგრამაში უმაღლეს დონეზე იყო წარმოდგენილი. აღნიშნული რეკომენდაცია ასევე გამოერდა სამაგისტრო საფეხურზეც.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ცალკე რეკომენდაციად იყო გაწერილი „დაინერგოს და გაძლიერდეს მიკრობიოლოგიის ლაბორატორიული სწავლება/ კურსი, სადაც სტუდენტები თავისი ხელით შეასრულებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს.“ მიკრობიოლოგია დარგია, რომელიც ბიომედიცინის მრავალ სფეროში სჭირდებოდა კურსდამთავრებულს, რაც ასევე მას გაუზრდიდა დასაქმების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანი იყო განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება აღნიშნულ კურსზე და ჩამოყალიბება ცალკე სასწავლო კურსად. არსებობდა ასეთი პრაქტიკა სხვადასხვა უნივერსიტეტებში, სადაც მთელი კურსი იყო ლაბორატორიული სამუშაოები და სტუდენტები თავისი ხელით ასრულებდნენ ლაბორატორიულ სამუშაოებს. ეს კურსი თავის მხრივ იქნებოდა კომპლექსური, რადგან მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიების კურსი არა საკუთვრივ, მხოლოდ მიკრობიოლოგიურ მეთოდებს მოიცავდა, არამედ სეროლოგიურ, მოლეკულურ ბიოლოგიის და ბიოქიმიის მეთოდებსაც. რაც მიკრობების ობიექტზე ფართო წარმოდგენას შეუქმნიდა სტუდენტს და გამოცდილებას შესძენდა მას. აღნიშნული კურსის განხორციელება იქნებოდა მარტივი და არ დასჭრდებოდა ძვირადღირებულ მატერიალურ/ტექნიკურ ბაზა და მასალები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, ასევე იყო რეკომენდაცია, „ზოგიერთ სილაბუსში დაემატოს ბიოლოგისთვის აუცილებელი თემები (მაგ. ჰისტოლოგია, ფარმაკოლოგია...)“. „პროგრამაში შეტანილ იქნას უჯრედულ კულტურებზე და ლაბორატორიულ ცხოველებზე

მუშაობის თეორიული და პრაქტიკული საკითხები.“ რადგან, ბიოლოგი ძრითადად შეიძლება იყოს პედაგოგი, მკვლევარი ან ლაბორატორიის პერსონალი, ამიტომ აღნიშნული მეთოდების სწავლება ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა.

ასევე აღნიშნა რეკომენდაციის შესახებ, „სტუდენტებისთვის პათოლოგიათა ბიოლოგიური საფუძვლების ძირითად კურსებად შეთავაზება“, რადგან, როგორც წესი ბიოლოგები სწავლობენ, ჯანმრთელი ორგანიზმების ბიოლოგიას სხვადასხვა დონეზე, ეს იქნება ბიოქიმიურ, მოლეკულურ-ბიოლოგიური, იმუნოლოგიურ-ფიზიოლოგიურ, მორფოლოგიურ და ა.შ. მაგრამ ისინი არ სწავლობენ ავადმყოფი ორგანიზმის ბიოლოგიურ თავისებურებებს, თუმცა ძირითადად ბიოლოგებს, რომლებიც მოღვაწეობას აგრძელებენ მეცნიერებაში შეხება უწყვეტ პათოლოგიებთან ექსპერიმენტულ თუ ლაბორატორიულ დონეზე. სწორედ აქ ვლინდება ტერმინოლოგიათა და მექანიზმების ფლობის დეფიციტი. ამიტომ მნიშვნელოვანია სტუდენტმა ისწავლოს პათოლოგიის ბაზისები, ძირითადი ტერმინოლოგია, პათოლოგიათა ტიპები, როგორ ვითარდება და რა მექანიზმები არსებობს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამატა, რომ აღნიშნული საგანი არსებობს უნივერსიტეტში, თუმცა სხვა პროგრამაზე.

მიზანშეწონილი იყო სილაბუსებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგების მითითება მომდარყო იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა ამ უნარების გაზომვა, შესაბამისი აქტოვობის განხორციელების გზით. თუ საგანი არის თეორიული, აღნიშნულ საკითხზე აპელირება ვერ მოხდება, საგანი უნდა იყოს პრაქტიკული და ხანგრძლივი, რომ შეფასდეს მათი ღირებულებები, რამდენად განვითარდა და გამომუშავდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, რეკომენდებულია „შეიქმნას ლაბორატორიულ ცხოველთა მოვლისა და გამოყენების ინსტიტუციური ეთიკური საბჭო, რომელიც გასცემს დასკვნებს შიდასაუნივერსიტეტო იმ კვლევებზე ან სასწავლო კურსებზე, რომლებიც ლაბ ცხოველების გამოყენებას საჭიროებს.“ მსგავსი საბჭოები და კომიტეტები არსებობს უცხოეთის ყველა მოწინავე უნივერსიტეტში. იმფაქტ-ფაქტორის ჟურნალები პუბლიკაციებს აღარ ღებულებენ, თუ ის არის შესრულებული ცხოველებზე და ეთიკური კომიტეტის დასკვნა არ არის გაცემული. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რათა სწორედ მოხდეს ექსპერიმენტების დაგეგმვა, განისაზღვროს რამდენად აქტუალურია თემა, შეიძლება თუ არა ცხოველის სხვა ობიექტით ჩანაცვლება და ექსპერიმენტის მოდელირება, ან რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული ექსპერიმენტი მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ბიოლოგიის პროგრამა აქტიურად მუშაობს ცხოველურ მოდელებზე ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ შეიქმნას ეთიკური საბჭო. ასეთივე არის ერთ-ერთი რჩევა „გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში. ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა“ ანალოგიური SOP-ები, უცხოეთის მოწინავე უნივერსიტეტებში ყველა მიმართულებით არის გაწერილი, ამიტომ კარგი იქნება მისი გაწერა ჰისტოლოგიის, გენეტიკის თუ სხვა მიმართულებით და აღწერა თუ როგორ მოხდება ნარჩენების გაუვნებელყოფა.

რეკომენდებულია „იმ დისციპლინებში, სადაც არსებობს შესაძლებლობა, განვითარდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმები - დასკვნით გამოცდაზე მოხდეს შეძენილი პრაქტიკული უნარების საერთო შემაჯამებელი შეფასება.“ გამომდინარე იქიდან, რომ ბიოლოგი არის პრაქტიკოსი, ხელით მუშაობა არის ძალიან მნიშვნელოვანი, ამიტომ სასწავლო კურსში წარმოდგენილი ლაბორატორიული მშაობები და სტუდენტების ჩართულობის შეფასება უნდა გაიზარდოს, რათა სტუდენტმა არ უგულვებელყოს ან არასათანადოდ არ მიუდგეს აღნიშნულ საკითხს. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, თეორიასა და სხვა ტიპის აქტივობების ხარჯზე მიიღოს შეფასება, რაც საკმარისი იქნება საგნის ცასაბარებლად, ამიტომ მნიშვნელოვანია საგნებში, სადაც ეს შესაძლებელია, სტუდენტმა ჩააბაროს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდა.

ასევე რეკომენდებულია „შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება.“ სადაც ექსპერტთა ჯგუფი გულისხმობს, რომ

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, სადაც განმარტებულია, რომ იზარებენ ანგარიშებს და აგროვებენ თუ რა აქტივობები შეასრულა პროფესორმა, თუმცა როდესაც არის პროფესორის არჩევნები და ხდება ახალი კადრის აყვანა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას არ მოხდეს მათი ინფაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში პუბლიკაციის გამოქვეყნებით და სამეცნიერო კომფერენციებში მონაწილეობით შეფასება, არამედ რაოდენობრივო გაზომვა მოხდეს მათი აკადემიური და საჯარო აქტივობებისა (მაგ. სახელმძღვანელოს დაწერა, წიგნის თარგმნა, სტუდენტების მომზადება კომფერენციებისთვის, კომფერენციების ორგანიზება, შეხვედრა აბიტურიენტებთან და სხვა). რეკომენდაციასთან დაკავშირებით, „დიდი ყურადღება დაეთმოს და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალის გაახალგაზრდადებისთვის“ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავს მაღალკვალიფიციური პროფესორები, თუმცა საჭიროა გაახალგაზრდადება. პროგრამაზე არიან ახალგაზრდა პროფესორები, რომლებიც ორი ათეული წელია მუშაობენ, თუმცა მათი სტატუსი განსაზღვრულია, როგორც ლაბორანტი ან მოწვეული პედაგოგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ დარგობრივ მახასიათებლებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს უპასუხა და აღნიშნა, რომ დაწესებულების პოზიცია პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით ყოველთვის იყო პროაქტიური, რადგან ყველა რჩევა თუ რეკომენდაცია, რომელიც პროგრამის გაუმჯობესებას ხელს უწყობდა დაწესებულების მიერ იყო გაზიარებული. ასევე მან გარმატა, რომ დროის სიმცირიდან გამომდინარე დასკვნაში იყო ხარვეზები, რასაც იზიარებდა და ითვალისწინებდა თავად დაწესებულება, მაგრამ დასკვნები პრობლემური იყო სხვადასხვა მიზეზების გამო. პირველი იყო ის, რომ სტანდარტის კომპონენტების აღწერით ნაწილში წარმოდგენილი ნარატივის ცალკეული დეტალები ზოგ შემთხვევაში ფაქტობრივად ეწინააღმდეგებოდა სტანდარტის შეფასებით ნაწილს. ასევე რეკომენდაციები ძირითად შემთხვევაში რჩევის ხასიათისა იყო, რასაც ინსტიტუცია გაიზიარებდა, როდესაც ამის საჭიროება მოითხოვდა. ასევე, რეკომენდაციები ხშირ შემთხვევაში, არ იყო იმ კომპონენტის შესაბამისი სადაც იყო მითითებული. კონკრეტულ სტანდარტს აქვს თავისი აღწერილობითი ნაწილი, განმარტება და ინდიკატორები, რომელიც უნდა ყოფილიყო დაცული. შესაბამისად, ეს განაპირობებს ამა თუ იმ კომპონენტის შესაბამისობას ან შეუსაბამობას სტანდარტთან. მან ასევე აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დასასრულს პროგრამის განმახორციელებლებისა და ექსპერტების შეხვედრებზე გაჟღერებული ცალკეული კარგი პრაქტიკა დასკვნის პროექტში რეკომენდაციების ნაწილში აისახა.

რეკომენდაციებს, რომელიც შეეხება პროგრამის მიზნებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნარატივში გაწერილი პროგრამის მიზანი არის „ბიოლოგის მომზადება“, ხოლო რეკომენდაციაში წარმოდგენილი იყო, რომ უნდა „გადიხედოს პროგრამის მიზნები, მოხდეს მათი დაზუსტება და დაკონკრეტება“. თუმცა რასთან მიმართებაში უნდა მოხდეს გადახედვა, გაუგებარია დაწესებულებისათვის, რადგან ნარატივში არაფერი არის ნახსენები ამასთან დაკავშირებით. აკრედიტაციის სტანდარტი, ისევე, როგორც აკრედიტაციის სახელმძღვანელო, რომელიც სრულიად სარეკომენდაციო ხასიათისაა, ამბობს, რომ უნდა იყოს მიზანი გამჭვირვალე, უნდა ჩანდეს, რა ტიპის კურსდამთავრებულის მომზადებაზეა მიმართული და ეს ყველაფერი აღწერილი იყო 1.1 სტანდარტში. ასევე, მეორე ხარვეზი აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით იყო ის, რომ არაფერია ნათქვამი პროგრამის შესაბამისობაზე, უნივერსიტეტის მისიასთან, ბაზარზე პროგრამის ფუნქციონირების და კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ. აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლები, ფიქრობენ რომ 1.1 კომპონენტი, სრულად არ იყო დაფარული, ხოლო როდესაც სრულიად ვერ იფარება, რომელიმე კომპონენტი მეტწილი, ნაწილობრივი ან სრული შეუსაბამობის გადაწყვეტილება რთულად მისაღებია. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ კომპონენტში განსაზღვრული რეკომენდაციები, დაწესებულებისათვის მისაღები არ იყო.

1.2 კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება პროგრამის შედეგების შეფასებას, პროგრამის ნარატივში წერია, „პროგრამა სწორად არის სასწავლო კომპონენტებით დაბალანსებული, პროგრამა შედგება მრავალფეროვანი მაპროფილებლი კურსებისაგან, რომელსაც სტუდენტი გაჰყავს იმ შედეგებზე, რომელიც უნდა გააჩნდეს ბიოლოგს. პროგრამაში განსაზღვრული იყო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, შესაბამისად ჩამოყალიბებული იყო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი სამიზნე ნიშნულები და გეგმა.“ აღნიშნული ნარატივის შემდეგ გაიწერა რეკომენდაციები, რომლებიც ხშირ შემთვევაში არ იყო შესაბამისი აღნიშნული კომპონენტის განმარტებასთან. პირველი და მესამე რეკომენდაცია, ჰგავდა შინაარსობრივად ერთმანეთს. ერთ შემთხვევაში, თუ ნარატივში ვკითხულობდით პოზიტიურ დამოკიდებულებას, მეორე შემთვევაში რეკომენდაციაში სრულიად განსხვავებული პოზიცია იყო. სწავლის შედეგების გადახედვის აუცილებლობა არ იდგა, რადგან იგი ბიოლოგიის კვალიფიკაციაზე გადიოდა. მე-3 კომპონენტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკული ცალკეული კურსების ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის საკითხს უკავშირდება, ეს რეკომენდაცია სრულიად არ იყო მოცემული კომპონენტის შესაბამისი, რადგან ცალკეულ კურსებზე მსჯელობა, როგორც წესი მიმდინარეობს 2.3 სტანდარტში, რომელიც კურსების შესაბამის შესაბამისობას განსაზღვრავს პროგრამასთან და პროგრამის სწავლის შედეგათან, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ეს რეკომენდაცია არ იყო გასათვალისწინებელი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გასათვალისწინებელი არ იყო რიგი მიზეზების გამო, 1.2 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან. თუ კი არსებობს დარგობრივი მახასიათებლები კონკრეტული მიმართულებით, მაშინ ექნებოდა ვალდებულება, ეს კონკრეტული დარგობრივი მახასიათებელი შეესრულებინა პროგრამას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ავტონომიური გადაწყვეტილება, შექმნას პროგრამის ფილოსოფია და მოახდინოს პროგრამის ინპლემენტაცია იმგავრად, როგორც თავად წარმოუდგენია სწორი, შესაბამის დამსაქმებელთან და შრომის ბაზართან კომუნიკაციით, ისევე როგორც სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. დაწესებულებას მიაჩნია, რომ ზემოთ ჩმოთვლილი მიზეზების გათვალისწინებით პირველი სტანდარტი სრულ შესაბამისობაში იყო. ხოლო მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2.2 სტანდარტი იყო სრულ შესაბამისობაში, სადაც დასკვნის პოსპულატად წერია „პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, შინაარსი სტრუქტურა უზრუნველყოფს იმ შედეგების ცოდნის, უნარების გამომუშავებას, რაც ბიოლოგს უნდა გააჩნდეს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია შინაარსთან და სწავლის შედეგთან.“ ფაქტობრივად, 2.2 სტანდარტი პროგრამის სტრუქტურას სრულიად პოზიტიურად წარმოაჩენს და ამბობს, რომ ეს სტრუქტურა შესაბამისია იმისა რაც უნდა იყოს შედეგში. თუმცა 2.3 სტანდარტში, იყო რეკომენდაციების ძალიან დიდი ნაწილი, რომელიც წინააღმდეგობაშია 2.2 სტანდარტთან. თუ 2.2 სტანდარტში, პროგრამის სტრუქტურა, მისი იერარქია იყო სწორი როგორ შიძლება დავა პრე-რეკვიზიტებზე, ასევე კომპონენტის გაძლიერებაზე. შესაბამისად რეკომენდაციების დიდ ნაწილს არ ეთანხმება დაწესებულება, აღნიშნული მიზეზების გამო და გარდა ამისა სწავლის შედეგების რუკის ცვლილება იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ იცვლებოდა სწავლის შედეგი, რადგანაც რუკა წარმოადგენდა ერთ-ერთ მექანიზმს. თუ დაწესებულების მიმართ არსებობდა გარკვეული რეკომენდაციები აკრედიტაციის სახელმძღვანელოდან ან სტანდარტიდან, სტანდარტს სრულიად ეთანხმებიან და ემორჩილებიან, ხოლო აკრედიტაციის სახელმძღვანელო მათ მიერ არის შექმნილი, როგორც მარეკომენდირებელი სახელმძღვანელო ცალკეული მიმართებების მიხედვით. 2.4 სტანდარტი, სადაც ნათქვამია, რომ უნდა შეიქმნას ეთიკის საბჭო, რომელიც შესაბამის დასკვნებს გასცემს, აღნიშნული კომპონენტისათვის არის არარელევანტური. აღნიშნულ კომპონენტში იზომება, სტუდენტებს აქვთ თუ არა შესაძლებლობა მიიღონ კვლევისთვის საჭირო შესაძლებლობები, არის თუ არა კომფერენციებში მონაწილეობა ძალიან

კარგი პრაქტიკა და ხორციელდება თუ არა ხელშემწყობი ღონისძიებები. შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაციის ადგილი ამ კომპონენტში არ არის და თუკი უნდა არსებობდეს, უნდა არსებობდეს რჩევის სახით, რასაც გაითვალისწინებს ინსტიტუცია. რაც შეეხება დაწესებულების წარმომადგენელმა, 2.6 სტანდარტში გათვალისწინებული რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს - „იმ დისციპლინებში, სადაც არსებობს შესაძლებლობა, განვითარდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმები - დასკვნით გამოცდაზე მოხდეს შეძენილი პრაქტიკული უნარების საერთო შემაჯამებელი შეფასება“ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიზანია, შეფასდეს ყველა სწავლის შედეგი, რომელიც გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით, რაც პროგრამის აკადემიური პერსონალის, განმახორციელებელი გუნდის აკადემიური თავისუფლების ნაწილია. ამავე კომპონენტში გაწერილია საუკეთესო პრაქტიკის ნაწილში, იმ ორი კურსის შეფასების სქემას, რომელიც სწორედ ამას აფასებს. განზოგადება და ყველა კომპონენტში ამის გადატანა, შესაძლებელია რჩევის სახით იყოს გათვალისწინებული, თუმცა არცერთ შემთვევაში როგორც რეკომენდაცია. რადგან პროგრამის განმახორციელებელი პირები მიიჩნევენ, რომ სწავლის შედეგები ფასდება სხვადასხვა კომპონენტით, სხვადასხვა ეტაპზე და რაიმე კონკრეტული განსხვავებული შეფასების სისტემის აუცილებლობას დაწესებულება ვერ ხედავს. ხოლო მე-4 სტანდარტის რეკომენდაციებს, „შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება“ „დიდი ყურადღება დაეთმოს და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალის გაახალგაზრდავებისთვის.“ 4.1 აფასებს კადრს, რომელიც ემსახურება ამა თუ იმ აკადემიურ პერსონალს, რომელში სრული შესაბამისობაა. როდესაც დაწესებულება ირჩევს აკადემიურ პერსონალს, პროცესი ღია და გამჭვირვალეა. განსაზღვრულია შესაბამისი ეტაპები, რომელიც უნდა გაიაროს აკადემიურმა პერსონალმა და ამის შესაბამისად გაწერილია კონკრეტული კრიტერიუმები. ანკეტაში, რომელსაც აპლიკანტი ავსებს ყველა მონაცემი გათვლილია, რასაც განიხილავს შემდგომ კომისია. როდესაც აკადემიური პერსონალი დაწესებულების ნაწილი ხდება, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებაზე არსებობს სქემა, რომლის მიხედვითაც სასწავლო კომპონენტი, სამეცნიერო კომპონენტი და სერვისების ნაწილი არის გათვლილი. აღნიშნული ფაკულტეტი დაწესებულებაში განიხილება, როგორც საუკეთესო პრაქტიკა. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავებას, დაწესებულებისთვის არის გასაგები, თუმცა სსიპ-ის პრინციპის გათვალისწინებით, აქაც ტარდება ღია კონკურსი და ვინც მიიღებს აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობას და გაიმარჯვებს, ის დაიკავებს შესაბამის პოზიციას. დაწესებულების წარმომადგენელმა, რამაზ ხომერიკმა ასევე აღნიშნა, რომ არ ეთანხმება რეკომენდაციებს და საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ხარჯებთან. რაც განპირობებულია იმით, რომ 2 წლის წინ მიღებულ იქნა მინისტრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც გაუქმდა გამოსაშვები გამოცდები და მისაღები გამოცდები შემცირდა სამ საგანამდე. მას შემდეგ დაწესებულება ითხოვს, რომ დაემატოს კიდევ ერთი საგანი (მაგალითად: ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია და გეოგრაფია), თუმცა ამ დრომდე ვერ მოხერხდა. რამაც გამოიწვია შემოსავლების და მისაღები კონტიგენტის ფაქტიურად განახევრება. აქედან გამომდინარე, ახალ შტატებთან, წიგნების თარგმნასთან და მსგავს საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა ამ ეტაპზე ვერ ხერხდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მიდიგურმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტების მიერ დასმულ ყველა შეკითხვას მიგნებებთან დაკავშირებით უპასუხეს დაწესებულების წარმომადგენლებმა. რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფს არ გამოუხატავს წინააღმდეგობები, თუმცა რეალურად დასკვნაში საპირისპირო მოსაზრებები იყო გაწერილი. ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას სთავაზობს, რომ მინიმუმ სამი საგანი ისწავლებოდეს ქიმიის მიმართულებით, რისი წინააღმდეგი არც დაწესებულებაა, თუმცა რეალურად ქიმიის ორი საგანი, რომელიც პროგრამაში არის გაწერილი, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღინიშნა, რომ არის გადაფარვები. აღნიშნული სილაბუსების ავტორთან

დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიარეს კონსულტაცია და ნამდვილად გამოიკვეთა სამი თემა, რომელიც დუბლირებულია მეორე საგანში. „ქიმის შესავალი“, რომელიც ისწავლება პირველ კურსზე პირველ სემესტრში, იკითხება ყველასთვის (ინფორმატიკოსები, მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ელექტრო ინჟინერია, ბიოლოგია, ქიმია). ქიმის ამ ძრითადი ელემენტების სიღრმისეულ შესწავლას სხვადასხვა დარგი სტუდენტებისათვის ვერ განსაზღვრავს დაწესებულება. ამიტომ საგნების გადაფარვა, გამოწვეული იყო იმითი, რომ როდესაც უკვე ისწავლება ქიმია/ბიოლოგიის სტუდენტებისათვის პედაგოგს შემოაქვს ახალი სამი თემა, რომელიც სჭირდება ბიოლოგს უფრო გაღრმავებულად ვიდრე სხვა დარგის სტუდენტებს. დაწესებულება იაზრებს, რომ ნამდვილად საჭიროა ქიმიური ელემენტების ცოდნა სტუდენტებისათვის, რაც გათვალისწინებულია სხვადასხვა საწავლო კურსებში. იმისათვის, რომ გამარტივდეს ბიოქიმის სწავლა, პროგრამაში შევიდა ცვლილება და ბიოქიმია გაიყო ორ საგნად. სილაბუსების გადაფარვასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას არ ეთანხმება დაწესებულება და ფიქრობს, რომ აღნიშნული რჩევის ხასიათისაა. პროგრამაში გამოიყოფა საათები, რათა ქიმიური ელემენტების სწავლება გაძლიერდეს. რაც შეეხება პრე-რეკვიზიტებთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ იზიარებს, რადგან პირველ და მეორე კურსზე შეუძლებელია „შესავალი ბიოლოგიაში“ არ იყოს პრე-რეკვიზიტი ყველასთვის. რაც შეეხება სილაბუსებს, დაწესებულებამ ახალი პროგრამით დაამატა „კერძო ჰისტოლოგია“, რომელსაც ბაკალავრიატზე ეთმობა 4 საათი, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე ცალკე ისწავლება. კერძო საგნების ცალ-ცალკე შემოტანა გასცდება ბაკალავრიატის დონეს. რაც შეეხება ლიტერატურის განახლებას, განახორციელებს დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენელი არ იზიარებს, ასევე ასაკში შესული აკადემიური პერსონალთან მიმართ მოსაზრებას, რომ თითქოს მეცნიერული აქტივობა კლებულობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განმარტა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, 1997 წელს შემუშავდა ორგანული კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, რომელიც საფუძვლად დაედო შემოღებულ კანონებს, მათ შორის სამეცნიერო კვლევების შესახებ. მე-19 თავი, შეეხებოდა სამედიცინო/ბიოლოგიურ კვლევას, სადაც განსაზღვრული იყო, რომ როდესაც საქართველო უერთდება კონვენციებს, ეს მექანიკურად ნიშნავს, რომ ყველგან უნდა დაინერგოს. ქვეყანაში მიღებული კონვენცია ნიშნავს, რომ არცერთი პუბლიკაცია სამედიცინო/ბიოლოგიურ დარგში საერთაშორისო პუბლიკაციებში ვერ მოხვდება. როგორც იკვეთება აღნიშნული უნივერსიტეტის ბევრი პუბლიკაციაა წარმოდგენილი, ამიტომ წარმოუდგენელია ამის გარეშე ეხელმძღვანელათ. საბჭოს წევრის თქმით, დასკვნას ესეც სახე ჰქონდა. არსებობს უნივერსიტეტის პრეფერენციები, როგორც სჭირდება და მის კომპეტენციაში ჩარევა არ არის გამართებული. ასევე, საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რამდენად იყო გამართლებული, ბიოლოგიაში და მედიცინაში ინფორმაციის გეომეტრიული პროგრესის ფონზე, ყველაფრის დეტალიზება და სწრაფი განახლება. ასევე დროსთან და რესურსთან არის დაკავშირებული სახელმძღვანელოების თარგმნა.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დამაზუსტებელი კითხვებით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და დაწესებულებას. SOP-ების შესახებ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მიკრობიოლოგიის სილაბუსში წერია, რომ პრაქტიკულების ჩამონათვლი მიყვება თემატიკას, სადაც საკმაოდ მრავალფეროვანი თემატიკაა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ლაბორატორიის ნახვისას გამოიკვეთა ის, რომ SOP-ების არ არსებობიდან გამომდინარე არასოწრად ხორციელდება გარკვეული საკითხები? საბჭოს წევრმა სთოვა ექსპერტთა ჯგუფს, უფრო დეტალურად განეხილა საბჭოზე აღნიშნული საკითხი. ასევე წინაპირობებთან დაკავშირებით, დასკვნაში გაწერილია ზოგიერთი კურსისთვის ორი ან სამი წინაპირობა, როგორია ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია ამასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ფარმაკოლოგიის სილაბუსს, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზია პრაქტიკულ ჩამონათვალთან დაკავშირებით. მან ასევე ცხოველთა მოვლასა და კულტურებზე მანიპულირებასთან დაკავშირებით მიმართა ექსპერტთა

ჯგუფს, რომ დაზუსტდეს, აღნიშნული საკითხი გაწერილია სწავლის შედეგებში, რომ კურსდამთავრებულს ამის კომპეტენცია ექნება და ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა თუ როგორ მოწმდება ეს თუ მხოლოდ კარგი პრაქტიკის მაგალითია?

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ კითხვით მიმართა დაწესებულაბას, შრომის ბაზრის კვლევის ანალიზთან დაკავშირებით ბიოლოგიის პროგრამაზე, თუ როგორ მომზადდა ის? ასევე უცხო ენასთან დაკავშირებით, აბიტურიენტი რომელ უცხოურ ენასაც (გერმანული, რუსული და ინგლისური) აბარებს აღნიშნულ პროგრამაზე, იმავე ენაზე აგრძელებს სწავლა. ხოლო, როდესაც კურსდამთავრებული ჩაბარებს აღნიშნული პროგრამის მაგისტრის საფეხურზე, სადაც ძირითადი ლიტერატურა არის ინგლისური, ჰქონიათ თუ არა სტუდენტებს პრობლემები ამასთან დაკავშირებით?

საბჭოს წევრმა, დიანა მჭელიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. 1.1 კომპონენტთან მიმართებაში, რეკომენდაციაზე „გადაიხედოს პროგრამის მიზნები, მოხდეს მათი დაზუსტდეს და დაკონკრეტება.“ თუ რა ნაწილში იკვეთება დაზუსტებისა და კონკრეტიკის სიმცირე? ასევე 1.2 პუნქტის, პირველი და მეორე რეკომენდაცია ებმის ერთმანეთს შინაარსობრივად. სწავლის შედეგების გაზომვადობასთან და შეფასებასთან ჩამოყალიბებულია, საკმაოდ გაზომვადი აქტიური ზმნებით და შეფასებაც არ არის რთული, შესაბამისად რატომ თვლიან ექსპერტები, რომ ასეთი ფრომულირებით ჩამოყალიბებული შედეგები არ იქნება გაზომვადი? ხოლო 2.6 კომპონენტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დასკვნით გამოცდაზე კვლევითი/პრაქტიკული უნარების შემოწმების შეფასებას. რატომ თვლის ექსპერტთა ჯგუფი, რომ ეს აუცილებლად უნდა განხორციელდეს დასკვნით გამოცდაზე და რატომ არ არის შესაძლებელი შუალედური შეფასების, რომელიმე კომპონენტში მისი განხორციელება? 4.2 კომპონენტის ორივე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც საუბარია „შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება.“ საბჭოს წევრის მოსაზრებით, აღნიშნული საკითხი უფრო მეტად საავტორიზაციო საკითხებს შეეხება, ამიტომ მნიშვნელოვანია ექსპერტების მხრიდან დაზუსტდეს რა კავშირშია პროგრამასთან მიმართებაში.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ 1.1-ის რეკომენდაციის აღწერილობით ნაწილში არ არის გამოკვეთილი პრობლემასთან მიმართება. ასევე, როდესაც საუბარია საგნების დამატებაზე და მისი მოცულობის განსაზღვრაზე დაწესებულება ეყრდნობა კვლევებს. გაეცნო თუ არა ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ კვლევებს და რის საფუძველზე გაიცა 2.3-ის რეკომენდაცია. ასევე საბჭოს წევრმა განმარტა, რომ პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობებზე, თუკი ეს პრობლემა არის პროგრამაზე, კარგი იქნება ექსპერტთა ჯგუფმა ისაუბროს პრაქტიკაზე, თუ როგორი უნდა იყოს საერთო მოცულობის პროცენტი და რამდენით უნდა გაიზარდოს? ხოლო აკადემიური პერსონალის შეფასებასთან დაკავშირებით, როგორია ექსპერტების პოზიცია, რატომ არ აქვს უნივერსიტეტს შესაძლებლობა თავად გადაწყვიტოს აღნიშნული საკითხი?

საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, 2.4 ქვესტანდარტში მოცემულ ჩანაწერთან დაკავშირებით, სადაც საუბარია ლაბორატორიულ ცხოველთა მოვლისა და ინსტიტუციური ეთიკური საბჭოს შექმნაზე, რამდენად არის სარეკომენდაციო ხასიათის აღნიშნული ჩანაწერი? ასევე 4.2 ქვესტანდარტში, აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავებასთან დაკავშირებით, ინტერვიუს დროს ხომ არ გამოიკვეთა რაიმე პრობლემა გამოცდილი კადრების მიერ უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, უპასუხა საბჭოს წევრების დასმულ შეკითხვებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები სხვა ჭრილში იქნა აღქმული და იყო უზუსტობები. ბიო ეთიკის საბჭოსთან დაკავშირებით, მან გარმატა, რომ საერთაშორისო დონეზე მოთხოვნები დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ბოლო წლებში განსაკუთრებით გამკაცრდა, რადგან პუბლიკაციის მიღებისას ითხოვენ ეთიკის საბჭოს დასკვნას. მსოფლიოში მიღებული იყო

მკაცრი ზომები, მაგალითად ცხოველისათვის ტკივილის მიყენებას, ანესთეზიის წესების სრული დაცვის გარეშე გამოყენებას, მკაცრი რეაგირება მოყვებოდა საზღვარგარეთ. საქართველოში, მსგავსი რეგულაციები არ არსებობდა. ასოციაცია „გალასი“, რომელიც შეიქმნა რამდენიმე წლის წინ, აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით, გახდა საერთაშორისო ასოციაციების წევრი და ცდილობს, რომ დანერგოს აღნიშნული პრაქტიკა საქართველოში. თუმცა ამის მიღწევა საკანონმდებლო დონეზე რთულია. ამიტომ, თავდაპირველად ის უნდა განხორციელდეს საუნივერსიტეტო დონეზე. საკითხი იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ პროგრამის სამივე საფეხურზე სტუდენტები ატარებენ კვლევებს ლაბორატორიულ ცხოველებზე, სადაც უნდა იყოს გათვალისწინებული, რამდენად ეთიკურად ტარდება კვლევა, რამდენად ღირებულია კვლევის შედეგი და ღირს თუ არა ცხოველის მსხვერპლად. სწორედ ამისთვის არის საჭირო ეთიკის საბჭო, რომელიც იქნება კომპეტენტური ხალხით დაკომპლექტებული და იმსჯელებენ რამდენად ფასეულია ცხოველის გამოყენება კვლევაში, რამდენად ფასეულია ის მეცნიერებისათვის და პრაქტიკისათვის. თუ კი ეს საკითხი შემოტანილი იქნება სასწავლო კურსში, ამასთან დაკავშირებითაც ნებრათვა უნდა გაიცეს ეთიკის საბჭოს მიერ. რადგან დაწესებულებაში აქტიურად მიმდინარეობს კვლევები, ეს ცალსახად მეტყველებს, რომ აუცილებელია აღნიშნული საბჭოს არსებობა. ამასთან დაკავშირებით, ლექტორების პოზიციაც პოზიტიურია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ლევან ციციშვილმა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაამატა, რომ ეთიკის კომისიები იყო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით არის ახალი კანონმდებლობები ევროპაში. საქართველოში ჩამოყალიბდა ასოციაცია, ლაბორატორიულ ცხოველთა სამეცნიერო ასოციაცია, რომელიც გაერთიანებულია, ანალოგიურ ევროპის ასოციაციაში და არსებობს შესაბამისი ვებ-გვერდი, სადაც ცალსახად არის გაშლილი ყველა სტანდარტი თუ რა ფუნციონირებს ევროპაში და როგორი უნდა იყოს კანონმდებლობა, რომ შესაფერისი იყოს კანონმდებლობასთან. ასევე არსებობს 3R პრინციპი, რომელიც ბიო უსაფრთხოების სიბალუსში მაინც უნდა იყოს განხილული, ბაკალავრიატის დონეზე, რათა იცოდეს სტუდენტმა რას ნიშნავს 3R ცხოველებთან მიმართებაში. ეს შეეხება ჩანაცვლებას, გაუმჯობესებას და ალტერნატიული მეთოდების მოძებნა.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ დღეს მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს შესაბამისი მუხლი „ადამიანს ან ცხოველებზე წარმოებული სამედიცინო ბიოლოგიური კვლევის მიზნები, ამოცანები, მეთოდები, მოსალოდნელი შედეგები და კვლევის რისკი მითითებული უნდა იყოს კვლევის სამეცნიერო გეგმაში. ნებისმიერი კვლევა უნდა ჩატარდეს ამ გეგმის ფარგლებში“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კანონი მიღებული იყო 1997 წლის შემდეგ, რაც უფრო გაღრმავდა, ჩამოყალიბდა ასოციაცია მაგრამ არ არის მართებული იმის თქმა, რომ საქართველოში არ მოქმედებს ეს პრინციპები. რომ არა ეს კანონმდებლობა, ვერცერთი პუბლიკაცია ვერ გავიდოდა საზღვარ გარეთ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუკი კანონმდებლობაში ასეთი ჩანაწერი არსებობდა, საჭირო იყო მის ქმედებაში მოყვანა. პრაქტიკაში უნდა განხორციელებულიყო ეთიკის კომისიის შეფასება, რომ ეს ჩანაწერები და დამატებითი დეტალები ყოფილიყო შესრულებული. ორი ინსტიტუციის მიერ, ერთი წლის წინ დაიწყო ბიო ეთიკის საბჭოს შექმნა, შემუშავდა დებულება, რაც გამომდინარეობდა კონკრეტული პრობლემიდან. საერთაშორისო გრანტი მოპოვებული იყო ფრანგებთან ერთად, რომლებმაც კვლევის შესრულებისათვის კატეგორიულად მოითხოვეს ბიო ეთიკის საბჭოს არსებობა. ექსპერტთა თავმჯდომარემ SOP-ებთან დაკავშირებით, აღნიშნა რომ აღნიშნული საკითხი არ იყო რეკომენდაციებში ჩაწერილი, არამედ იყო რჩევაში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა ამასთან დაკავშირებით, თუმცა დაწესებულებამ აღნიშნა, რომ არ იყო. უნდა არსებობდეს ერთგვაროვანი წესები, თუ როგორ განხორციელდება თითოეულ ეტაპზე სამუშაოები, ნარჩენების განადგურება და ლიკვიდაცია. კათედრებისა და ლაბორატორიების უმრავლესობა დეტალურად დაათვალიერა ექსპერტთა ჯგუფმა. მან ასევე აღნიშნა, რომ შესაძლებელია დროის სიმწირის

გამო დასკვანში ვერ აისახა ძილიერი მხარეები, რომლიც მრავლად იყო დაწესებულებაში. პრერეკვიზიტებთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ როდესაც მაღალი დონის სპეციალიზირებულ საგნებს ან არ აქვს, ან აქვს პირველი სემესტრის საგანი განსაზღვრული „ბიოლოგიის შესავალი“, რომლის სილაბუსში, ის თემები არ იყო წარმოდგენილი, რაც საკმარისი იქნებოდა ამ საგნის დაძლევისათვის. ექსპერტთა თავმჯდომარის პოზიციას, რომ სტუდენტს არ გაურთულდეს სასწავლო პროცესი ხელოვნურად (უხვი პრე-რეკვიზიტებით და ა.შ). მისი მოსაზრებით, ბაკალავრმა განათლება უნდა მიიღოს ბაკალავრის დონეზე, მას უნდა ჰქონდეს ერთიანი და მინიმალისტური ხედვა. პროგრამის შედეგები უფრო ზოგადია, საგნების შედეგები პროგრამის შედეგების ქვედა დონეა და ზუსტდება საკითხები. სადაც არის გარკვეული პუნქტები, რომელიც მოიცავს ბიოლოგიურ კვლევების შესრულებას. ხოლო უჯრედულ კულტურებზე და ცხოველებზე კვლევა ბიოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია, აქედან გამომდინარე თუნდაც, რამოდენიმე სალექციო თუ პრაქტიკული თემით რომელიმე საგანში, აღნიშნული საკითხის შეტანა დაწესებულების გამოცდილების გათვალისწინებით ძალიან მარტივია. კურიკულუმს გარეთ, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა კვლევების ჩატრების, თუმცა მისი სწავლება, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად ყველა სტუდენტისათვის კარგი იქნება. 2.6 ქვესტანდართთან დაკავშირებით შეკითხვას, რომელიც შეეხებოდა დასკვნით პრაქტიკულ გამოცდას. ამასთან დაკავშირებით უცხოელი ექსპერტების პოზიციას, რომ უნდა ჩატარდეს პრაქტიკული გამოცდები, რათა შეფასდეს შესაბამისი უნარები. მაგალითად გარკვეული საგნები: მიკრობიოლოგია, ჰისტოლოგია, ციტოლოგია და იმუნოლოგია, სადაც ეს ფინანსურად და ტექნიკურად შესაძლებელია. ბიოლოგიის ღირებულება და ფასეულობა განსაკუთრებით ბაკალავრიატის საფეხურზე, არა თეორიულ ცოდნაშია, არამედ პრაქტიკულში, თუ რისი ცოდნა შუემლია ხელით. თუ სტუდენტი შეფასდება ლაბორატორიულ მუშაობაზე, სადაც შესაძლებელია არ იარა სტუდენტმა, არ შეასრულა სამუშაო, თუმცა ჩააბარა თეორიული ნაწილი. რეალურად შეფასებაში არ ვლინდება, რომ ლაბორატორიული მუშაობა შეასრულა სტუდენტმა. აღნიშნული საკითხი წარმოდგენილია პროგრამის ორ საგანში (ციტოლოგია, ჰისტოლოგია), რაც ნიშნავს იმას, რომ ამ სტუდენტმა იცის ლაბორატორიული მუშაობა, ის იკვლევს, თავისუფლად მუსაობს მიკროსკოპზე, არჩევს პრეპარატებს. რაც შეეხება 4.2 ქვესტანდარტში გათვალისწინებულ რეკომენდაციას, ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან არ ხდება სათანადო დონის ინგლისურის მოთხოვნა და არც სტუდენტს აქვს ინგლისური ენის ცოდნის ისეთი დონე, რომ გაარჩიოს უცხოური წყაროები. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბაზისური ცოდნა, რაც უცვლელია წლების მანძილზე იყოს ქართულად და უფრო განახლებული. კადრებთან დაკავშირებული აქტივობები, უცხოეთში ბოლო წლებში აქტიურად ფასდება წიგნის დაწერა, წიგნის თარგმნა, ახალი სასწავლო კურსების დანერგვა, ახალი ლაბორატორიული მეთოდების დანერგვა, კონფერენციების მოწყობა, საჯარო აქტივობები, აბიტურიენტებთან შეხვედრა და დაინტრესება, რაც ძალიან დიდი ქულებით ფასდება. დაწესებულებაში ხდება შეკრება ამ მონაცემების, თუმცა ეს უნდა იყოს გაზომვადი და უნდა ხდებოდეს მისი წახალისება. თუ არჩევნების პროცესში, ამას განუსაზღვრავს დაწესებულება აპლიკანს, შეუქმნის წინაპირობას, რომ უფრო მეტი გააკეთოს. არსებობს, მონაცემების აკრეფვა, ანგარიშის შეკრება თუ რა აქტივობები გააკეთა თანამშრომელმა, თუმცა არ არსებობს ამისი გაზომვა და წახალისება. წახალისება არსებობს, მხოლოდ სამეცნიერო კვლევებისათვის, თუმცა გამოქვეყნებული პუბლიკაციით რთულია საუბარი ადამიანის მიღწევებზე, აღნიშნა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ირმა ქურდაძემ შეფასების ქულობრივ საკითხთან მიმართებაში განმარტა, რომ არასწორად მოხდა გარკვეული საკითხების ინტერპრეტაცია. ინფაქტ-ფაქტორების როლი, რომ განუზომელია ამას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი, თუმცა რეკომენდაციით - „შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება“ ექსპერტებმა შესაძლებლობა მისცეს იმ აქტივობებს, რომლებიც საბაკლავრო დონეზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა. ექსპერტმა ასევე

განმარტა, რომ შესაძლებელი იყო აღნიშნული საკითხის რჩევის სახით გაწერა, თუმცა ექსპერტების მიზანი იყო, მეტი ყურადღება ფოკუსირებულიყო აღნიშნულ საკითხზე, რათა ყოფილიყო გაზომვადი და ქულებში გაწერილი. ასევე, გაახალგაზრდავებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ მათი პოზიცია დაწესებულებაში დასაქმებული მეცნიერების მიმართ ძალიან პოზიტიურია, თუმცა ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუებისას, დოქტორები აღნიშნავენ, რომ უჭირთ დასაქმება, რაზეც იმსჯელა ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ როდესაც საუბარია რეკომენდაციებზე, ეს ნიშნავს რომ ხარვეზია პროგრამაში და მისი გათვალისწინება სავალდებულოა. ხოლო, თუ კი ექსპერტთა ჯგუფს სურდა კეთილი ნება გამოეხატა გარკვეული საკითხებისადმი, ეს უნდა გაწერილიყო რჩევის სახით.

ექსპერტთა თავმჯდომარემ, განმარტა რომ რეკომენდაციაში გაწერილი ტერმინი „გაახალგაზრდავდეს“ არ ნიშნავდა იმას, რომ ექსპერტთა ჯგუფი პატივს არ სცემდა უფროს თაობას, რომელიც არის დასაქმებული აღნიშნულ პროგრამაზე. რეკომენდაცია გულისხმობდა, რომ დაწესებულებაში შემუშავებულიყო მექანიზმები, რითიც უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდა კადრების მიღება, რასთან დაკავშირებითაც რეკომენდაცია სავალდებულო ხასიათის იყო. 1.1 კომპონენტთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ მიზნებისა და შედეგების რუკაში, ყველა მიზანი გადიოდა ყველა შედეგზე, რაც ნიშნავდა იმას, რომ საჭირო იყო გაუმჯობესება. თუკი თითოეული მიზანი გავა ყველა შედეგზე რა სხვაობა იქნება მათ შორის. მიზნებთან დაკავშირებით დასკვნაში საუბარი იყო, რომ დაკონკრეტებული და დაზუსტებული ყოფილიყო სპეციალობასთან მიმართებაში. მაგალითად, „სტუდენტებისათვის შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისასთვის წინაპირობის შექმნა“, აღნიშნული მიზანი შეესაბამებოდა ნებისმიერ პროფესიას. ასევე იყო „სტუდენტებისათვის პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მიცემა, ბიოლოგიის საბაზისო დარგებში“ სადაც ჩამოთვლილი იყო კონკრეტული საგნები, თუმცა სხვა საგნები, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია არ იყო განსაზღვრული. ექსპერტების პოზიცია იყო, რომ უფრო მეტად განზოგადებულიყო. შედეგებთან დაკავშირებით, პროგრამაში სამ რუბრიკად იყო ჩაშლილი და შესაძლებელი იყო მისი პირდაპირ გაწერა. შედეგებში უნდა ჩანდეს, თუ რას აკეთებს, რა შეუძლია სტუდენტს და როგორ შეფასდება. მაგალითად „მსჯელობს ბიოლოგიური დისციპლინის ძირითად ასპექტებზე“, აღნიშნული ფორმულირება, ექსპერტის თქმით, წარმოადგენდა შუალედურ ეტაპს და არა დასრულებულ შედეგს. ასევე იყო „აანალიზებს სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერებებს.“

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა, თუ როგორ ფორმულირებას გაუკეთებდა აღნიშნულ სწავლის შედეგებს თავად ექსპერტი, ისე რომ გაზომვადი ყოფილიყო. რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ საბჭოს ხელშია ბერკეტი, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ექსპერტების რომელ რეკომენდაციას დატოვებდნენ და რომელს შეცვლიდნენ. ექსპერტის მოსაზრებაა, რომ მათ მიერ გაწერილი რეკომენდაციები უფრო მეტად გააუმჯობესებდა პროგრამას. ხოლო სწავლის შედეგის ფორმულირება ამ პროგრამასთან დაკავშირებით არ შედიოდა ექსპერტის კომპეტენციაში და შესაბამისად ვერც ახალ ფორმულირებულ ვარიანტს შესთავაზებდა საბჭოს წარმომადგენლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. იყო თუ არა პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისი საბაკალვრო საფეხურსათვის. რაზეც, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ სასწავლო პროგრამაში საგნები და თემები ჩამოყალიბებული იყო ისე, რომ სტუდენტს გაიყვანდა სწავლის შედეგზე, თუმცა საჭირო იყო სწორი ფორმულირება. სწორად ფორმულირებული შედეგები, უზრუნველყოფდა გაზომვადობას განსაზღვრული უნარები რომელ საგნებში შეფასდებოდა და გავიდიოდა თუ არა სტუდენტი ამ შედეგებზე. როდესაც მოხდება შეფასება, სწორი ფორმულირების გარეშე შედეგი არ იქნება გაზომვადი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ ასევე განმარტა, რომ კონკრეტული საგნის შემუშავება, კრედიტების და საათების განსაზღვრა საჭიროებს კვლევებს. აქედან გამომდინარე, რის საფუძველზე დაინახა რეკომენდაციის აუცილებლობა ექსპერტთა ჯგუფმა? ასევე ლაბორატორიულ მეცადინეობასთან დაკავშირებით, რა იქნება საუკეთესო პრაქტიკა და დაახლოებით რამდენი პროცენტი უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსში?

ექსპერტთა თავმჯდომარემ, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, ექსპერტების პოზიციას, რომ სწავლის შედეგი ცალსახად გაზომვადი და შეფასებადი უნდა ყოფილიყო. ასევე ცალკეულ სასწავლო კურსში, ლაბორატორიული მუშაობის პროცენტულობის განსაზღვრა მათემატიკური სიზუსტით წარმოუდგენელი იყო. სწორედ ლავირების შესაძლებლობით იყო განსხვავებული ბიოლოგიის პროგრამა, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა არ განსაზღვრა პროცენტულად და რეკომენდაცია დაფორმულირდა გაუმჯობესებასთან მიმართებაში. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ბაკალავრებს სჭირდებოდათ პრაქტიკული უნარების ფლობის გაძლიერება, რასაც აღნიშნავდნენ თავად ბაკალავრები, მაგისტრები და კურსადმთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა ძიძიგურმა ბიოეთიკის კომისიასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საქართველოში არსებული ასოციაციიდან, რომლის დამუშნებლებიც იყვნენ ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლები, დაწესებულებამ მიიღო მომართვა გაწევრიანებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლები არ არიან წინააღმდეგები პროგრამაზე არსებობდეს ეთიკის კომისია, რასთან დაკავშირებითაც უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლების პროტესტი, გამოწყვეული იყო იმით, რომ აღნიშნული საკითხი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილი იყო, როგორც სავალდებულო რეკომენდაცია. ასევე დაწესებულების წარმომადგენლები, გარდა ეთიკის კომისიის შექმნისა, ქმედით ნაბიჯებს დგამენ ასევე ვივარიუმის გაუმჯობესებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე საკუთარ მაგალითზე აღნიშნა, რომ პანდემიის მიუხედავად, ბოლო 4 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად აქვეყნებდა პუბლიკაციებს ინფექტ-ფაქტორიან ჟურნალებში, თუმცა არც-ერთ შემთხვევაში ეთიკის კომისიის დასკვნის მოთხოვნა არ ყოფილა. დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ჭელიძემ ბიუჯეტთან და ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ სირთულეებთან იყო დაკავშირებული ბაზრის კვლევა, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენლებმა გამოიყენეს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევის დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილი იყო ყველა პროგრამაში და სადაც ძირითადად ზოგად უნარჩვევებზე იყო გამახვილებული ყურადღება. ასევე საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევა ლაბორატორიული ტიპის დამსაქმებლებთან, რომლებიც შეეხებოდა დამსაქმებელთა მოთხოვნებს და ბოლოს თავად დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის ფარგლებში სამი ყველაზე აქტიური დამსაქმებელი გამოიკითხა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე უცხო ენასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სამაგისტრო დონეზე მსგავსი სფეციფიკის მქონე პროგრამისათვის ინგლისური ენა სასურველია, ამიტომ დაწესებულება ყველა პროგრამაში ტოვებს თავისუფალ კრედიტებს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა უცხოური ენა გაიმჯობესოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიანა ძიძიგურმა ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაში არჩევით საგნად არის განსაზღვრული დარგობრივი ინგლისური.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თვალსაჩინოების მიზნით საბჭოზე დამსწრეებს გააცნო დოკუმენტი, სადაც განსაზღვრული იყო ქულობრივი შეფასება და აღნიშნა, რომ დოკუმენტი ასევე ატვირთული იყო საბჭოს მასალებში, მე-5 დანართში. დოკუმენტში განსაზღვრული იყო ყველა ის აკადემიური აქტივობა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პროფესორს. მინიმალური სტანდარტი ფასდება 120 ქულით. ასევე სხვა ნებისმიერი აქტივობები (მაგალითად: მონოგრაფიების შექმნა, სახელმძღვანელოს /ლექციათა კურსის, ამოცანათა კრებულის გამოცემა), აღნიშნულ დოკუმენტში შეფასებულია საათებით. დოკუმენტში ინფექტ-ფაქტორიან სტატია შეფასებული იყო 1 საათით, ხოლო სახელმძღვანელოს/ლექციათა კურსის, ამოცანათა კრებულის გამოცემა - 6 საათით.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- (1.1) გადაიხედოს პროგრამის მიზნები, მოხდეს მათი დაზუსტება (დარგობრივი სპეციალიზაციის გათვალისწინებით).
- (1.2) პროგრამის ზოგიერთი შედეგი და კურიკულუმის რუკა გაიწეროს ისე რომ, იყოს შეფასებადი და გაზომვადი.
- (2.4) შეიქმნას ლაბორატორიულ ცხოველთა მოვლისა და გამოყენების ეთიკის საბჭო, რომელიც გასცემს ნებართვას შიდასაუნივერსიტეტო იმ კვლევების ან სასწავლო კურსების განხორციელებაზე, რომლებიც ლაბ ცხოველების გამოყენებას საჭიროებს.
- (2.6) გაძლიერდეს სტუდენტების პრაქტიკული ცოდნის და ტრანსფერული ცოდნის განმავითარებელი უნარების შეფასება, რათა შეფასდეს რამდენად ეფექტურად შეუძლია სტუდენტს მიღებული ცოდნის პრობლემაზე ორიენტირება და მისი გადაჭრა.
- (4.2) შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება.
- (4.2) დიდი ყურადღება დაეთმოს და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალის გაახალგაზრდავებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი შარვაშიძემ განმარტა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რა განსხვავება იყო რჩევასა და რეკომენდაციას შორის. სტანდარტთან შეუსაბამობიდან უნდა გამოდინარეობდეს რეკომენდაცია, ასევე უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი. დასკვნაში გაწერილი რეკომენდაციების სტრუქტურა აგებული იყო ისე, რომ რეკომენდაციის გარკვეული ნაწილები წინააღმდეგობაში მოდიოდა ერთმანეთთან. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული იყო, როგორც საკონკურსო, ასევე შეფასების სიტემები. ხოლო ეს ყველაფერი იყო რაოდენობრივი, თვლადი და გაზომვადი. პრინციპი კი, რომლითაც დაწესებულება ხელმძღვანელობდა იყო მათივე კოპეტენცია. მან ასევე გამარტა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საჯარო დაწესებულება, რომელსაც აქვს მუშაობის საკუთარი ალგორითმი დადგენილი. ასევე მან აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან იკვეთებოდა „ეიჯიზმი“. ხოლო დაწესებულების ადმინისტრაციას ჰქონდა ახალგაზრდა კადრების მოზიდვის სისტემა. მაგალითად, შიდა სტიპენდიები სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის, პოზდოკების დაფინანსება და დოქტორანტებისათვის ხელფასების მიცემა. ექსპერტების მიერ, განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სტანდარტის შესაბამისობა. ბიოეთიკის კომისიასთან დაკავშირებულ რჩევას გაითვალისწინებენ დაწესებულების წარმომადგენლები. ასევე დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია იყო, რომ რეკომენდაციები ძირითადად რჩევის ხასიათი ჰქონდა, ამიტომ უნდა გწერილყო რჩევის სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ სამბაკალავრო პროგრამისთვის გაწერილი რეკომენდაციები მეორდებოდა, ასევე სამაგისტრო პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი ელენე ჟურავლოვა დაინტერესდა 1.2 კომპონენტში გაწერილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაკავშირებით, როგორი იყო ექსპერტების პოზიცია, პროგრამაში წარმოდგენილ 8 მოდულის შეფასებასთან დაკავშირებით იყო ხარვეზი თუ კონცენტრაციების თავისებურების ბუნდოვანებაზე? საბჭოს წევრმა, ასევე კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს მიღების პროცედურებთან დაკავშირებით. ზეპირი გამოცდა ხომ არ მოიცავდა ინგლისური ენის კომპეტენციის დადგენას?

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით, რომელიც არ იყო წარმოდგენილი დოკუმენტაციაში. ასევე, პროგრამაში კონცენტრაციის შედეგები იყო თუ არა ცალ-ცალკე გაწერილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ თხელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტი არსებობდა, თუმცა ტექნიკური ხარვეზი იყო ატვირთვასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი შეტყობინების სახით გამოაგზავნა სხდომის მიმდინარეობისას.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აპლიკანტი აბარებდა უცხოური ენის და სპეციალობის გამოცდას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა დორეულმა განმარტა, რომ პირველი სემესტრი იყო ყველა მოდულის სტუდენტებისათვის საერთო, სადაც გაერთიანებულად ისწავლება თანამედროვე მეთოდები. მოდულის ფარგლებში სტუდენტი გადიოდა იმ პრაქტიკულ ჩვევებს, რაც მას დასჭირდებოდა ცხოველებთან ურთიერთობის დროს. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე, სტუდენტებს, ასევე უწევთ პრაქტიკული გამოცდების განხორციელება. ცალკეულ მოდულებზე კონცენტრაციის შემთხვევაში, ყველა ის საგანი, რომელიც თანმიმდევრულად იყო წარმოდგენილი შემდეგ ორ სემესტრში წინაპირობების დაცვით. საგნები საჭიროების მიხედვით წარმოადგენდა წინაპირობებს მესამე სემესტრის საგნებისათვის. თითოეულ საგანზე განსაზღვრულია მიზანი და შედეგი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საბაკალვრო პროგრამაზე არ იყო სავალდებულო საბაკალვრო თემის მომზადება, ხოლო მაგისტრატურის ყველა სტუდენტი ამზადებდა მაღალი დონის სამაგისტრო თემებს და სწორედ აქ აღინიშნებოდა ცალკეული მოდულის კონცენტრაციები. შესაძლებელია საბოლოოდ ბიოლოგიის დარგში მაგისტრის ხარისხი ენიჭებოდეს კურსადამთავრებულს და არ იყოს განსაზღვრული ვიწრო სპეციალიზაცია, თუმცა როგორი იყო კონცენტრაცია საგნებისა ეს გამოჩნდება დანართში. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დროს გამოავლენს თუ როგორია მისი უნარები და პრაქტიკული ჩვევები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში შედეგები არ არის მოდულებისთვის არის ერთიანი.

საბჭოს წევრი ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა, პროგრამაში გაწერილ 1.3 და 1.4 სწავლის შედეგებზე და აღნიშნა, რომ შედეგების ფორმულირებაში უფრო მეტად გამოკვეთილი იყო უნარი, ვიდრე ცოდნა და ხომ არ იყო ეს ტექნიკური ხარვეზი, ასეთივე იყო 3.1 და 3.3 სწავლის შედეგი, რომლებიც გარკვეული თვალთახევდით ერთმანეთს იმეორებდა. ხოლო 2.3 სწავლის შედეგი, რომელიც უნდა ყოფილიყო კვლევაზე ორიენტირებული, თავისი ფორმულირებით უფრო საბაკალვრო დონის შესაბამისია იყო ვიდრე სამაგისტროსი. ამ საკითხებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ საინტერესო იქნებოდა დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველა მეთოდს ჰქონდა თეორიული ნაწილი, რომლის გარეშეც სტუდენტი ვერ აითვისებს პრაქტიკულ ნაწილს. ხოლო სწავლის შედეგში განსაზღვრული ფორმულირება წარმოდგენილი იყო როგორც ცოდნა. ექსპერტთა თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ აფასებდენ დაწესებულების წარმომადგენლები სწავლის შედეგში განსაზღვრული „ახალი იდეების შექმნის“ ცოდნა ექნება თუ არა სტუდენტს?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალი იდეების შექმნასთან დაკავშირებულ სწავლის შედეგი ფასდებოდა შუალედური გამოკითხვებისას, სტუდენტებს ეძლევათ დავალება მოიტანონ ახალი კვლევა, სადაც იქნება, როგორც მათი პოზიციები დაფიქსირებული, ასევე სხვადასხვა ლიტერატურიდან და სამეცნიერო სტატიიდან მოძიებული მასალა. ასევე პროგრამაში განსაზღვრული იყო სამეცნიერო პროექტები, რომელიც მუდმივად მიმდინარეობდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენ სამაგისტრო ნაშრომს გაეცნო ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი და როგორ შეაფასებდნენ ისინი სამაგისტრო ნაშრომების შინაარსობრივ ნაწილს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამაში 1-ლი, მე-3, მე-5, მე-6 მიზანი საჭიროებდა კორექტირებას, ასევე 1.1, 1.2, 1.3, 1.4, 3.2 სწავლის შედეგები არ იყო გაზომვადი და შეფასებადი. მან ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში გაეცნენ სამაგისტრო ნაშრომებს და დადებითად შეაფასა ისინი.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი ნათელი და ცალსახა იყო. სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა ძიძიგურმა აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამაზე, აუცილებლად გაითვალისწინებდნენ რჩევას არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები. საბჭოს წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ ჰქონდათ.

17:00 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება;

17:20 საათზე საბჭოს სხდომა განახლდა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან ციციშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დასკვნის მომზადებისა შეზღუდული იყო დროში, ხოლო დაწესებულების წარმომადგენელთა მსჯელობა, რომელიც საბჭოს მიმდინარეობისას იქნა გახმოვანებული უმჯობესი იქნებოდა იმთავითვე წარმოდგენილი ყოფილიყო შეფასების ეტაპზე, რაც გამოიწვევდა ნაწილი რეკომენდაციების რჩევაში გადატანას. საგანმანათლებლო პროგრამაში “გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია” 2 მოდული იყო წარმოდგენილი: 1) სურსათისა და აგრარული ბიოტექნოლოგია; 2) ჯანდაცვის და გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგია; ორივე მოდული წარმოადგენდა ქვეყნის პრიორიტეტს და აქცენტი ეკონომიურ განვითარებისკენ მიმართული.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შემუშავება მოხდა სტანდარტების მიხედვით:

რეკომენდაციები:

- (1.1) გადაიხედოს პროგრამის მიზნები, მოხდეს მათი დაზუსტება და დაკონკრეტება დარგობრივი სპეციალიზაციის შესაბამისად;

- (1.2) გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, მოხდეს მათი ჩამოყალიბება დარგის სპეციფიკის შესაბამისად, იყოს რეალისტური და შესაბამისი მოცემული სწავლის საფეხურისთვის, ჩამოყალიბდეს მკაფიოდ და აქტიური ზმნის გამოყენებით აწმყო დროში, რომ პროგრამის სწავლის შედეგები იყოს ადვილად გაზომვადი და შეფასებადი. დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით კორექტირდეს კურიკულუმის რუკა, რაც სამომავლოდ მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად;
- (2.3) გადაიხედოს სილაბუსები და აღმოიფხვრას თემების დუბლირება, გასწორდეს პრერეკვიზიტები, საჭიროების მიხედვით მიეთითოს ძირითადი ლიტერატურის უახლესი გამოცემები.
- (2.3) გადაიხედოს სილაბუსები (უჯრედის ბიოლოგიის, გამოყენებითი გენეტიკის და მოლეკულური ბიოლოგია 1, მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია, ტოქსიკოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, გენეტიკა მედიცინაში, დაავადებების ბიოლოგიის საფუძვლები) და ზოგიერთ სილაბუსში კორექტირდეს პრერეკვიზიტები
- (2.3) გაიზარდოს ქიმიის კომპონენტი და შეიქმნას მინიმუმ 3 სასწავლო კურსი, რომლებშიც ასწავლიან შემდეგ თემებს: 1. ზოგადი და არაორგანულ ქიმიის (ნაწილობრივ არსებობს), 2. ფიზ-კოლოიდური ქიმიის საკითხებს, ანალიზური და ფიზიკური ქიმიის კვლევის მეთოდებს, 3. ორგანული ქიმიის თემებს.
- (2.3) სასწავლო კურსებში გაძლიერდეს ლაბორატორიული მუშაობის კომპონენტი
- (2.3) დაინერგოს მიკრობიოლოგიური ანალიზის და კვლევის მეთოდების თეორიული და ლაბორატორიული სწავლების კომპონენტი, როგორც ბიოტექნოლოგიის ერთ-ერთი ძირითად ფუნდამენტური კურსისა.
- (2.3) ზოგიერთ სილაბუსში გადაიხედოს თემების თანმიმდევრობა, რელევანტურობა და დაემატოს რელევანტური საკითხები (მაგ. დაავადებათა ბიოლოგიური საფუძვლები, ფარმაკოლოგია...)
- (2.3) პროგრამაში შეტანილ იქნას უჯრედულ კულტურებზე და ლაბორატორიულ ცხოველებზე მუშაობის მეთოდები
- (2.3) შეიქმნას კურსი, რომელშიც უფრო ვრცლად გაშუქდება რეკომბინანტული დნმ-ის ტექნოლოგია და გენეტიკური ინჟინერიის საკითხები
- (2.4) შეიქმნას ლაბორატორიულ ცხოველთა მოვლისა და შენახვის ეთიკური საბჭო, რომელიც გასცემს დასკვნებს შიდასაუნივერსიტეტო იმ კვლევებზე, რომლებიც ლაბ ცხოველებზე უნდა ჩატარდეს.
- (2.6) რომელიმე ერთ ან რამდენიმე მაპროფილებელ დისციპლინაში, სადაც არსებობს შესაძლებლობა, უზრუნველყოფილ იქნას პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მექანიზმების დახვეწა დასკვნით გამოცდაზე და მიღებული უნარების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასების უზრუნველყოფა.
- (2.6) სხვადასხვა საგნებში დაინერგოს და განვითარდეს სტუდენტების ანალიტიკური ცოდნის, ასევე პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი ცოდნის გამოყენების უნარების შეფასება.
- (3.1) ცენტრალიზებულ დონეზე გაძლიერდეს დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები, რომელიც რელევანტური იქნება ფაკულტეტისა და პროგრამისათვის;
- (4.2.) შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სტუდენტების მხარდაჭრას და სტუდენტებისათვის შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების ასახვას. ექსპერტების რეკომენდაცია, აღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით იყო „ცენტრალიზებულ დონეზე გაძლიერდეს დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები, რომელიც რელევანტური იქნება ფაკულტეტისა და პროგრამისათვის;“ რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტი აღნიშნულ მხარდაჭერას ბევრი ინსტრუმენტით იღებდა, ხშირ შემთხვევაში ეს შეიძლება ყოფილიყო კარიერის განვითარების ცენტრალური ოფისი, ფაკულტეტი და პროგრამა. ასევე პროგრამა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი იყო სტუდენტთა დასაქმების, სტაჟირების და კომპეტენციის გამომუშავებისაკენ მიმართული მხარდაჭერი ღონისძიებების. რაც შეეხება აღნიშნული პროცესის ცენტრალურ დონეზე გაძლიერებას, კარიერის განვითარების სამსახური, LMS საშუალებით, უზრუნველყოფდა თითოეულ სტუდენტს, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე კონკრეტული მიმართულებებით დასაქმების შესაძლებლობებს. შესაძლებელი იყო კონკრეტული მიმართულებებისათვის მუდმივად არ ყოფილიყო დასაქმების შესაძლებლობები, თუმცა პროგრამა ამას უზრუნველყოფდა და წარმოადგენდა ერთერთ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითს. აქედან გამომდინარე დაწესებულება არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან არსებობდა მექანიზმები და რეალური აქტივობები, რომელსაც ახორციელებდნენ დაწესებულების წარმომადგენლები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო არჩვაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტების უზრუნველყოფა დასაქმების პოტენციური არეების მოძიებით, წარმოადგენდა პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს. საბაკალავრო პროგრამის კურსადმთავრებულების 84 % იყო დასაქმებული და ეს მიუთითებდა იმაზე, რომ სტუდენტთა მხარდაჭერა ამ კუთხით იყო მაღალი. აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენლები არ თვლიან, რომ ამ სტანდარტის შესაბამისობის საკითხი განსაზღვრული იყოს, როგორც მეტწილი. დაწესებულების წარმომადგენლები ასევე არ ეთანხმებიან 1.1 კომპონენტში გაწერილ რეკომენდაციას, რადგან მათი მოსაზრებით პროგრამა სრულყოფილად ასახავდა პროგრამის დარგობრივ სპეციფიკას და მიზნები წარმოდგენილი იყო ოთხივე მიმართულებისათვის. საბაკალავრო პროგრამის მიზანი და შესაბამისი შედეგი არ იყო კონკრეტული დარგობრივი სპეციალიზაცია. რადგან ის ამზადებდა სპეციალისტებს ზოგადად გამოყენებითი ბიო მეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მულტიდისციპლინურ დარგში, რაც უზრუნველყოფილი იყო კურიკულუმის მოდულარული სქემით. ხოლო სწავლის შედეგებში შესაბამისად იყო დაკონკრეტებული. სტანდარტებთან მეტწილ შესაბამისობას არ ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენელი, რადგან აღნიშნავს, რომ პროგრამა ნამდვილად უზრუნველყოფდა კურსდამთავრებულის დარგობრივი თეორიული და პრაქტიკული უნარების მიცემას, შრომის ბაზრის დარგის განვითარების მოთხოვნებთან შესაბამისი მიზნით მუდმივ განახლებას და გაუმჯობესებას. ასევე დასაქმებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ პროგრამა უზრუნველყოფდა ურთიერთობას ინსტიტუციებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან მემორანდუმის ფარგლებში, საწარმოო პრაქტიკას, რაც ემსახურებოდა მიზანს მომზადებულიყო საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი კადრები. გარდა ამისა, პერსონალის აქტიური მონაწილეობა ღონისძიებებში, სტუდენტების ჩართულობა და შესაბამისობა თანამედროვე სტანდარტებთან იყო ძალიან მსუყედ წარმოდგენილი პროგრამაში. ასევე პროგრამა ორიენტირებული იყო ინტერნაციონალიზაციაზე, სწავლების ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებზე და პროგრამის მიზანისრულიად შეესაბამებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, ფაკულტეტის განვითარებას სტრატეგიას, რასაც თავად ექსპერტებიც ადასტურებდნენ ვიზიტის დროს. დაწესებულების წარმომადგენლები, ასევე არ ეთანხმებიან ექსპერტების რეკომენდაციას შედეგების უფრო მეტად კონკრეტიზაციასთან დაკავშირებით, რადგან შედეგებში კარგად არის წარმოდგენილი კონკრეტიზაცია. დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ კონკრეტიზაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სილაბუსებში, ხოლო პროგრამაში შედეგები გაერთიანებული სახით იყო წარმოდგენილი ბიოტექნოლოგიის ყველა მიმართულებისათვის, რომელსაც სრულად ფარავდა აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენლებისათვის ასევე გაუგებარია, რატომ იყო მსჯელობასა და გამოტანილ დასკვნას შორის აცდენა, რომსწავლის შედეგები არ იყო რეალისტური და საფეხურის შესაბამისი,

როდესაც საექსპერტო დასკვნაში ეწერა, რომ ეს ყველაფერი შესაბამისობაშია. გარდა ამისა სწავლის შედეგები ადვილად შეფასებადი იყო და შეფასების რუკაც ასევე არ შეიძლება იყოს ერთადერთი მექანიზმი. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა შეფასების საუკეთესო ინდიკატორები (სწავლის შედეგების კონტროლის შიდა მექანიზმები პროგრამისთვის, კითხვარები, ნიშნულები, მართვის კომიტეტი, კავშირი ინდუსტრიასთან და ა.შ.), რასაც დაეყრდნო პროგრამის ლაბორატორიული და პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერება. სწორედ ეს წარმოადგენდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საზომს.

დაწესებულების წარმომადგენელმა 2.3 კომპონენტში გაწერილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იყო არაერთი რეკომენდაცია, რომლებსაც არ ეთანხმებოდა დაწესებულება და თვლიდნენ რომ პირველი და მეორე რეკომენდაცია პრაქტიკულად იდენტური იყო და ნწილობრივ ფარავდა მესამე რეკომენდაციასაც. ხოლო რეკომენდაციის შინაარსთან დაკავშირებით შესაძლებელი იყო რომელიმე სილაბუსი საჭიროებდა დახვეწას, თუმცა კონკრეტული საგნების სწავლებებთან მიმართებაში არ ეთანხმებიან დაწესებულების წარმომადგენლები რეკომენდაციას. მაგლითად უჯრედის ბიოლოგიის კურსის წინაპირობად განხილვობდეს ბიოქიმია 1 ან მოლეკულური ბიოლოგია, რადგან ამის პრეცედენტი არ მოიძებნა არცერთ ანალოგიურ პროგრამაზე. გარდა ამისა უჯრედული ბიოლოგიის შინაარსი არ მოითხოვს ბიოქიმიის და მოლეკულური ბიოლოგიის იმ დონეზე ცოდნას, რასაც შესაბამისი კურსები სტავაზობენ. ასევე დაწესებულების წარმომადგენლები არ ეთანხმებოდნენ „გამოყენებითი გენეტიკის და მოლეკულური ბიოლოგია 1“ კურსის წინაპირობად „ბიოქიმია 1“ განსაზღვრას, ხოლო „მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგიაზე“ „ბიოქიმია 2“, შესაბამისად ამ კუთხით გაცემული რეკომენდაციები შესაძლებელია მხოლოდ რჩევის სახით ყოფილიყო წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდნენ რეკომენდაციას შემოთავაზებული სტრუქტურით „გაიზარდოს ქიმიის კომპონენტი და შეიქმნას მინიმუმ 3 სასწავლო კურსი, რომლებშიც ასწავლიან შემდეგ თემებს: 1. ზოგადი და არაორგანულ ქიმიის (ნაწილობრივ არსებობს), 2. ფიზ-კოლოიდური ქიმიის საკითხებს, ანალიზური და ფიზიკური ქიმიის კვლევის მეთოდებს, 3. ორგანული ქიმიის თემებს.“, თუმცა ეთანხმებოდნენ რჩევას, რომ შესაძლებელი იყო ქიმიის არსებული კურსების მოდიფიცირება იმგვარად, რომ სრულად დაფარულიყო ექსპერტების მიერ შემოთავაზებული თემები. ასევე დიდ ძალისხმევას მოითხოვდა ქართულ ენოვანი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, გარდა ამისა უახლესი ყოველთვის არ ნიშნავს საუკეთესოს, აქედან გამომდინარე სილაბუსის ავტორების აზრი იყო პრიორიტეტული, როდესაც ისინი სთავაზობდნენ ამათუიმ კურსის შესაბამის ლიტერატურას. რეკომენდაციასთან დაკავშირებით „სასწავლო კურსებში გაძლიერდეს ლაბორატორიული მუშაობის კომპონენტი“ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს წარმოადგენდა დაწესებულებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას, სწორედ სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზით, პროგრამის მართვის კომიტეტმა გადაწყვიტა კურიკულუმის რევიზია, რისთვისაც გატარდა მთელი რიგი ცვლილებები. კურიკულუმს დაემატა კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული მეთოდები, ლაბორატორიული და ბიოლოგიური უსაფრთოება, ასევე არსებულ კურსებში გაიზარდა ლაბორატორიული მუშაობის კომპონენტი. ასევე, რეკომენდაციას „დაინერგოს მიკრობიოლოგიური ანალიზის და კვლევის მეთოდების თეორიული და ლაბორატორიული სწავლების კომპონენტი, როგორც ბიოტექნოლოგიის ერთ-ერთი ძირითად ფუნდამენტური კურსისა“ ნაწილობრივ ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენელი და აღნიშნა, რომ მიკრო ბიოლოგიური ანალიზის ლაბორატორიის სწავლების კომპონენტი წარმოადგენდა საგნის „მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია“ ინტეგრირებულ ნაწილს და ამ კონკრეტული კურსის ფარგლებში გასაძლიერებელი იყო პრაქტიკულ-ლაბორატორიული კომპონენტი, თუმცა მიკრობიოლოგიური ლაბორატორიული კვლევის მეთოდები, ასევე ისწავლებოდა სხვადასხვა კურსებში (ბიოტექნოლოგია, სურსათის ბიოტექნოლოგია 2) გარდა ამისა საბალავრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში აითვისონ მიკრობიოლოგიური კვლევის პრაქტიკული

მეთოდი. ასევე რეკომენდაციაზე „ზოგიერთ სილაბუსში გადაიხედოს თემების თანმიმდევრობა, რელევანტურობა და დაემატოს რელევანტური საკითხები (მაგ. დაავადებათა ბიოლოგიური საფუძვლები, ფარმაკოლოგია...)“ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაცია შეეხებოდა რამოდენიმე საგანს, მაგალითად ფარმაკოლოგიას, მასში იყო განხილული ფარმაკო დინამიკის და ფარმაკო კინეტიკის მნიშვნელოვანი საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ცენტრალური და პერიფერიული ნერვულ სისტემაზე მოქმედ სხვადასხვა წამლებს. თანამედრო ფარმაკოლოგიის შესწავლა უჯრედული სასიგნალო სისტემების განხილვის გარეშე შუძლებელი იქნებოდა, აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენელი არ თვლის, რომ ეს თემატიკები უჯრედის სასიგნალო სისტემის კურსის გადაფარვაა. დაავადებათა ბიოლოგიურ საფუძვლებთან დაკავშირებით, საუბარი იყო რომ გაკვეთილი ნაწილები არ იყო განხილული და გარკვეულ ნაწილს მეტი თემა ჰქონდა დათმობილი, რასაც არ ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენელი. ისეთი საკითხები, როგორც იყო დაავადების სტადიები, სიკვდილი და ა.შ განიხილება პირველივე ლექციაზე, მეოთხე ლექციის ფარგლებში ისწავლება სისხლის მიმოქცევის ადგილობრივი მოშლა (თრომბოზი, ემბოლია და ა.შ) ხოლო, სიმსივნის თემებთან დაკავშირებით კარგი იქნებოდა ექსპერტებს მიეთითებინათ საბაკალავრო პროგრამის კიდევ რომელ კურსში განიხილება კანცეროგენეზის საკითხები და სად იყო გადაფარვა. რაც შეეხება რეკომენდაციას „პროგრამაში შეტანილ იქნას უჯრედულ კულტურებზე და ლაბორატორიულ ცხოველებზე მუშაობის მეთოდები“ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს თემები შეტანილი იყო სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში რაც უფრო რელევანტური იყო, რადგან სამაგისტრო პროგრამა უფრო მეტად იყო ორიენტირებული კვლევაზე. ხოლო ბაკალავრიატის დონეზე ეს თემები განიხილებოდა სხვადასხვა კუთხით, გარდა ამისა სეროლოგიურ კვლევაზე, მან ასევე განმარტა, რომ კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული მეთოდები საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო და ტარდებოდა კლინიკურ ბაზაზე, სადაც სტუდენტები შეისწავლიდნენ სეროლოგიურ მეთოდებს. ჰემატოლოგიურ მეთოდებს ეთმობა 10 საათი, სისხლის შედედების კვლევას 15 საათი, საიდანაც 9 იყო ლაბორატორიული. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა რეკომენდაციაზე „შეიქმნას კურსი, რომელშიც უფრო ვრცლად გაშუქდება რეკომბინანტული დნმ-ის ტექნოლოგია და გენეტიკური ინჟინერიის საკითხები“ და აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდნენ აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან რეკომბინანტული დნმ-ის ტექნოლოგია და გენეტიკური ინჟინერიის საკითხები იფარება რამოდენიმე კურსის ფარგლებში, როგორც იყო მაგალითად: „გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია 2“ და „ბიოტექნოლოგია 1“ ასევე დაამატა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები განიხილავდნენ საკითხს დამატებითი სახელმძღვანელოს ჩართვაზე პროგრამაში არსებული სხვადასხვა კურსების ფარგლებში. ხოლო რაც შეეხება რეკომენდაციას პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ სტუდენტისათვის პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა იყო ძალიან მნიშვნელოვანი და წარმოადგენდა პროგრამის ძლიერ მხარეს. ასევე ექსპერტთა დასკვნაში აღწერილობით ნაწილში პრაქტიკის კომპონენტი დადებითად იყო შეფასებული, თუმცა რეკომენდაციის სახით მაინც გაიწერა. დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია იყო, რომ SOP-ების შექმნა მისასაღმებელია, თუმცა ეს არ იყო პროგრამის დონეზე გადასაწყვეტი საკითხი, შესაბამისად მისი არსებობა ან არარსებობა ვერ გახდებოდა აღნიშნულ კომპონენტში პროგრამის შეფასების ინსტრუმენტი, საკითხი შეეხებოდა არა პროგრამულ, არამედ ადმინისტრაციულ დონეზე განსახილველ საკითხს. პროგრამაზე შემოტანილ იქნა ახალი კურსი „ლაბორატორიული და ბიოლოგიური უსაფრთხოება“ რომლის ფარგლებში სტუდენტებს წარედგინებათ ბიოლოგიური და ლაბორატორიული უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები (ნარჩენების უტილიზაცია, გაუნებელყოფა, ინციდენტებზე რეაგირება, ვივარიუმში მუშაობის ძირითადი წესები). ასევე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც გაწერილი იყო 2.6 კომპონენტის ნაწილში დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ბუნდოვანია. კარგი იქნებოდა ექსპერტებს მოეყვნათ მაგალითი, საერთაშორისო პრაქტიკიდან. პრაქტიკული უნარები დანალიტიკური ცოდნა პროგრამაში ფასდება მნიშვნელოვნად, საბაკალავრო ნაშრომში

და საწარმოო პრაქტიკაში. განსხვავებულია პრაქტიკული კომპონენტის შეფასება საწარმოო პრაქტიკაში, რადგან განსაკუთრებული წილი (80%) მოდის პრაქტიკული უნარების შეფასებაზე. **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა დაინტერესდა 1.3 და 1.4 სწავლის შედეგთან დაკავშირებით, სტუდენტი ირჩევს მოდულს ან ჯანდაცვის და გარემოსდაცვის ბიოტექნოლოგიის მიმართულებით ან სურსათის და აგრარულ ბიოტექნოლოგიას. პროგრამის ყველა კურსდამთავრებული გადის ორივე სწავლის შედეგზე, საერთო სავალდებულო კურსებით? ასევე არის თუ არა საწარმოო პრაქტიკა არჩევითი საგანი?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ შეკითვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ კურსდამთავრებული გადიოდა ორივე შედეგზე, რადგან აღნიშნული შედეგები წარმოადგენდა ჯამურ შედეგს, რომელიც დადგებდა იმის მიუხედავად თუ რომელი მოდულს აირჩევდა სტუდენტი, რადგან მას აქვს არჩევანის თავისუფლება. აქედან გამომდინარე სწავლის შედეგი მიიღწევა საერთო სავალდებულო კურსებით ჯამურად. რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როდესაც აღნიშნული კურსი იქმნებოდა ბრიტანულ ანალოგ კურსთან თანამშრომლობით, მაშინ იყო საუბარი „სენდვიჩ“ მოდელზე, რომლის მიხედვითაც სტუდენტი იყო უნივერსიტეტში, შემდეგ მიდიოდა ინდუსტრიაში და ბრუნდებოდა უკან უნივერსიტეტში. დაწესებულების წარმომადგენლებს სურდათ აღნიშნული მოდელის მიღება, თუმცა როდესაც ის მოარგეს ადგილობრივ რეალობას სრულად ვერ განხორციელდა და სტუდენტი საწარმოო პრაქტიკას ასრულებს მე-8 სემესტრში. სტუდენს ჰქონდა შესაძლებლობა მისი სურვილის და საჭიროების შესაბამისად მიიღოს აღნიშნული კურსი.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაში რეკომენდაციების რაოდენობა შემცირებული იყო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ პროგრამა მაღალ დონეზე იყო შესრულებული. როგორც საბაკავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამებზე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიწერა რეკომენდაცია სილაბუსების გადახედვასთან დაკავშირებით, თუმცა აქცენტი არ იყო გაკეთებული რომელიმე კონკრეტულ სილაბუსზე. რითიც უნივერსიტეტს მიეცა საშუალება თავად განესაზღვრა და შეეფასებინა ის. ექსპერტთა ჯგუფი ენდობოდა დაწესებულების წარმომადგენლების კომპეტენციას და პროფესიონალიზმს. პროგრამის მიზნებთან დაკავშირებული რეკომენდაციის გაწერისას, ექსპერტთა მიზანი იყო პროგრამის მიზანი უფრო მეტად დაახლოებულიყო სპეციალიზაციასთან, რადგან როდესაც აბიტურიენტი კითხულობს სამაგისტრო პროგრამის მიზანს, მათ უფრო მეტად სჭირდებათ ვიწრო სპეციალიზაციის მითითება.

რეკომენდაციები:

- (1.1) გადაიხედოს პროგრამის მიზნები, მოხდეს მათი დაზუსტება და დაკონკრეტება დარგობრივი სპეციალიზაციის შესაბამისად
- (1.2) გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, მოხდეს მათი ჩამოყალიბება დარგის სპეციფიკის შესაბამისად, იყოს რეალისტური და შესაბამისი მოცემული სწავლის საფეხურისთვის, ჩამოყალიბდეს მკაფიოდ და აქტიური ზმნის გამოყენებით აწმყო დროში, რომ პროგრამის სწავლის შედეგები იყოს ადვილად გაზომვადი და შეფასებადი. დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით კორექტირდეს კურიკულუმის რუკა, რაც სამომავლოდ მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად.
- (2.3) გადახედოთ იქნას გამოყენებითი ტოქსიკოლოგიის შინაარსი და აღმოიფხვრას თემატური გადაფარვა ამავე პროგრამის საბაკალავრო საფეხურის საგანთან - პათოლოგიათა ბიოლოგიური საფუძვლები.
- (2.3) ძირითადი ლიტერატურიდან ამოღებულ იქნას რუსულენოვანი წყაროები

- (2.4). შეიქმნას ლაბორატორიულ ცხოველთა მოვლისა და შენახვის ეთიკური საბჭო, რომელიც გასცემს დასკვნებს შიდასაუნივერსიტეტო იმ კვლევებზე, რომლებიც ლაბ ცხოველებზე უნდა ჩატარდეს.
- (3.1). ცენტრალიზებულ დონეზე გაძლიერდეს დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები, რომელიც რელევანტური იქნება ფაკულტეტისა და პროგრამისათვის.
- (4.2.) შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება

ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ ძალიან მცირე დროში მოუხდათ პროგრამის შეფასება და დასკვნის მომზადება.

ექსპერტმა ბესარიონ ლასარეიშვილმა განმარტა, რომ ექსპერტების რეკომენდაციები ლიტერატურებთან დაკავშირებით შეეხებოდა ცალკეულ სილაბუსებში, მითითებული ლიტერატურის ჩანაცვლებას, იგივე ლიტერატურის ახალი გამომცემლობით. ასევე პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით უმჯობესი იქნებოდა სფეციფიური პრაქტიკული და ლაბორატორიული მეთოდების დანერგვა, რაც კარგ შედეგებზე გაიყვანდა სტუდენტებს. ხოლო, მიზნებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაში საუბარი იყო, მიზნის სწორად ფორმულირებაზე და დახვეწაზე, რათა მეტად იყოს მორგებული პროგრამაზე. ასევე პროგრამაზე იყო მიზნები რომელთა გაზომვაც იყო რთული. მაგალთად პროგრამის საბაკალვრო საფეხურზე განსაზღვრულია, რომ კურსდამთავრებული დაგეგმავს კვლევას, თუმცა ეს რეალურად არ არის შესაძლებელი ბაკლავრისთვის, ხოლო მაგისტრისა და დოქტორანტისთვის შესაზღვრელია.

ექსპერტთა თავმჯდომარემ ასევე, აღნიშნა რომ 2.4 ქვესტანდარტით განსაზღვრულ რეკომენდაციაში, ექსპერტთა პოზიცია არ შეეხებოდა ასოციაციაში გაწევრიანებას, რისი ხაზგასმაც მოხდა საბჭოს მიმდინარეობისას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა ძიბგურმა აღნიშნა, რომ უჯრედის ბიოლოგიის წინაპირობა ვერ იქნება ბიოქიმია, შესაზღვრელია იყოს ქიმია მაგრამ არა ბიოქიმია. ასევე „ახალ ცოდნასთან“ დაკავშირებით, შესაძლებელია მისი შექმნა ბაკლავრიატში, როდესაც სტუდენტი ასრულებს საბაკალვრო ნაშრომს, წერს სამეცნიერო დასკვნას და ნაშრომს აქვს მეცნიერული სიახლე სტუდენტი ქმნის ახალ ცოდნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი შერვაშიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამებთან მიმართებაშიც გაუგებარი იყო თუ რა განსხვავებაა იყო რეკომენდაციასა და რჩევას შორის. ასევე ცალკე საკითხს წარმოადგენს თუ როგორი შეიძლება იყოს დასაქმები პოლიტიკა ინსტიტუციაში, რადგან დაწესებულება წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას, რომელიც მოქმედებს შესაბამისი რეგულაციების ფარგლებში. იმ მოცემულობით, როგორც არის დაწესებულება წარმოდგენილი, მას აქვს გაწერილი გაზომვადი ინდიკატორების გამოყენებით ყველა საკითხი. ასევე სტუდენტების მხარდაჭერასთან დაკავშირებით, კურსდამთავრებულებში დასაქმების მაჩვენებელი აღემატება განვითარებული ქვეყნების საშუალო დონეს. ექსპერტთა რჩევებს ითვალისწინებს დაწესებულება, თუმცა კომპეტენციებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, ეს უკვე გულისხმობს იმას, რომ რაღაც არ შეესაბამებოდა სტანდარტს. ამიტომ ექსპერტების მიერ უნდა იყოს დაფიქსირებული, თუ რა არ შეესაბამებოდა სტანდარტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ 2.4 და 3.1 კომპონენტში გაწერილ რეკომენდაციებს არ იზიარებდა დაწესებულება, ასევე 1.1 და 1.2 კომპონენტში გაწერილ რეკომენდაციებში იყო აცდენა აღწერილობით ნაწილსა და შეფასების ნაწილს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო არჩვამემ რეკომენდაციასთან დაკავშირებით - „გადახედოდა იქნას გამოყენებითი ტოქსიკოლოგიის შინაარსი და აღმოიფხვრას თემატური გადაფარვა ამავე პროგრამის საბაკალვრო საფეხურის საგანთან - პათოლოგიათა ბიოლოგიური საფუძვლები“ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე შესაძლებელია ყოფილიყო სტუდენტი, რომელსაც აღნიშნული პროგრამის ბაკლავრი არ ექნებოდა დამთავრებული. დაწესებულების

წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული რეკომენდაციის რჩევის სახით გაწერა იქნებოდა უმჯობესი. ასევე ვიზიტის ფარგლებში შესაძლებელი რომ ყოფილიყო აღნიშნულ საკითგებზე უფრო მეტი საუბარი, დაწესებულების წარმომადგენლებს ექნებოდათ შესაძლებლობა მეტი არგუმენტი მოეყვანათ. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, სავარაუდოდ აღნიშნული რეკომენდაციები შეეხებოდა კანცეროგენულ საკითხებს, რადგან ეს იყო საერთო ნაწილი ორივე კურსისათვის. შესაძლებელი იყო სილაბუსში წარმოდგენილი ყოფილიყო მსგავსი თემები, თუმცა სწავლების სხვადასხვა დონეზე განსხვავებული იყოს მათი სწავლების სიღრმე. ხოლო რუსულ ენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადამოწმებულ სილაბუსში 7 ლიტერატურიდან, მხოლოდ 1 იყო რუსულენოვანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი ელენე ჟურავლოვა დაინტერესდა 2.2 სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, სადაც განსაზღვრულია, რომ „პრაქტიკაში გამოიყენოს თანამედროვე სადიაგნოსტიკო და კვლევის მეთოდები სხვადასხვა მიმართულებით, როგორცაა კლინიკური ბიოქიმია, ჰემატოლოგია და ტრანსფუზიოლოგია, ციტოგენეტიკა, ციტო- და ჰისტოდიაგნოსტიკა, კლინიკური ფიზიოლოგია, კლინიკური იმუნოლოგია და გამოყენებითი მიკრობიოლოგია, გარემოს დაცვის მონიტორინგი და რისკის ანალიზი, სურსათის, სასურსათო ნედლეულისა და პროდუქტების ქიმიური შემადგენლობის და ხარისხობრივი მონაცემების განსაზღვრა და სხვ.“ აღნიშნული მეთოდებიდან ყველას ეუფლება კურსდამთავრებული თუ არჩეული კონცენტრაციისა და მოდულის მიხედვით? ასევე 2.3 სწავლის შედეგი - „კარგი საწარმოო პრაქტიკის“ (GMP) და „კარგი ჰიგიენის პრაქტიკის (GHP)“ პრინციპების დანერგვა შესაბამისი პროფილის საწარმოში;“ როგორ იზომება. ასევე საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორი იყო დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ინგლისურ ენაში B1 დონის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ მისი შეკითხვა შეეხებოდა 3.1 ქვესტანდარტში გაწერილ რეკომენდაციას, თუმცა ამასთან დაკავშირები მოისმინა ექსპერტების პოზიცია, რომ პროგრამაზე მაღალი დასაქმების მაჩვენებელი და კარგი ხელშეწყობა იყო, ამიტომ მისი მოსაზრებით აღნიშნული საკითხი სარეკომენდაციო ხასიათს არ ატარებდა, რადგან დაწესებულებას ინსტიტუციის დონეზე აქვს შესაბამისი მექანიზმები, თუმცა კარგი იქნებოდა დასაქმების ხელშეწყობის გაძლიერება კონკრეტული პროგრამის მიმართულებით. ასევე საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა პროგრამის განმახორციელებლებს და აღნიშნა, რომ პროგრამაში საერთაშორისო თანამშრომლობის აღწერის ნაწილში კარგად იყო წარმოდგენილი ინტერნაციონალიზაცია, ასევე ჩამოთვლილი იყო უცხოური უნივერსიტეტების სია რომლებთანაც აქტიურად თანამშრომლობენ. რეაკრედიტაციის პროცესში, ჩატარდა თუ არა ბენჩმარკინგი, წარმოდგენილი იყო თუ არა რაიმე გამოხმაურება სააკრედიტაციო დოკუმენტებში და რა იქნა გათვალისწინებული?

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო არჩვაძემ უპასუხა შეკითხვებს და აღნიშნა, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ცხადად ჩანდა, ის რომ პროგრამას ქონდა მაღალი ხარისხის ინტერნაციონალიზაცია და ასევე ჩართული იყო სამაგისტრო პროგრამის განვითარების კომიტეტი, სადაც წარმოდგენილი იყო უცხოელი პარტნიორი, შესაბამისად ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან მათ მიერ გაწეული რეკომენდაციები ნამდვილად აისახებოდა პროგრამის სრულყოფაში, რისი პრეცედენტიც იყო პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ელენე ჩერქეზიამ აღნიშნა, რომ პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის ხარისხი მაღალი იყო და ასევე მუდმივად საჭიროებდა გარკვეულ ყურადღებას. პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა უკვე დასრულებულია, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები აგრძელებენ თანამშრომლობას უცხოელ პარტნიორებთან. დაწესებულების წარმომადგენლები იყენებდნენ მათ პოტენციალს და გამოცდილებას. მაგალითისთვის დაწესებულების წარმომადგენელმა მოიყვანა

თესალონიკის უნივერსიტეტი, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნული უნივერსიტეტის პროფესორს სთხოვეს, როგორც გარე შემფასებელი მონაწილეობა მიიღო პროგრამის შეფასებაში. ხოლო ბენჩმარკირებასთან დაკავშირებით, ბოლო პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლების მიერ შეტანილი ცვლილებები შეეხებოდა იმ რეგულაციებს, რაც დაკავშირებული იყო აკრედიტაციასთან. ახალ რეგულაციას შეუსაბამეს მიზნები და შედეგები. დაწესებულების წარმომადგენლები ჩართულნი არიან ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში, სადაც ასევე ჩართულნი არიან იტალიელი კოლეგები და იქმნება ახალი სასწავლო კურსები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო არჩვაძემ ინგლისურ ენასთან დაკავშირებულ შეკითვას უპასუხა და აღნიშნა, რომ ინგლისური ენა იყო გადამწყვეტი თანამედროვე უახლესი ინფორმაციის მისაღებად, შესაბამისად მისი განსაზღვრა B1 დონეზე ხდება მხოლოდ გამოცდაზე, ხოლო შემდგომ სამაგისტრო პროგრამის ორი სემესტრის განმავლობაში ისწავლება დარგობრივი ინგლისური ენის სავალდებულო კურსი. ასევე ბაკალავრის საფეხურზე, სავალდებულო სასწავლო კურსად გაიწერა დარგობრივი ინგლისური.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზურაბ ქუჩუკაშვილმა, აღნიშნა რომ კონკრეტულ საგნებზე, მოწვეულები არიან სპეციალისტები, რომლებიც სურსათის უვნებლობის კუთხით მუშაობენ, ხოლო სემინარებზე, სადაც ხდება განხილვა აღნიშნული სტანდარტების გარკვეული დავალებები ეძლევათ სტუდენტებს, რომლებმაც თეორიულად უნდა შეიმუშაონ გარკვეული სტანდარტების დანერგვა („ISO“ სტანდარტები, „22000“, „ჰასპის სისტემა“ კარგი ჰიგიენური პრაქტიკა). „ჰასპის“ სისტემა და კარგი ჰიგიენური პრაქტიკა სურსათის კუთხით არის, ხოლო ლაბორატორიულები საკმაოდ არის გაძლიერებულები განსაკუთრებით მაგისტრატურის პროგრამაზე, ლაბორატორია 1 „ სავალდებულოა ორივე მიმართულებისათვის, სადაც ხდება სტანდარტების რეალურად განხილვა. „ლაბორატორია 1“-ში ლაბორატორიულ ნაწილს ეთმობა 3 საათი და 1 სემინარი, ხოლო „ლაბორატორია 2“-ში ნაწილდება ცალცალკე ჯანდაცვის და სურსათის მიმართულებით და მინიჭებული აქვს 4-4 საათი. 2.3 სწავლის შედეგში განსაზღვრულ უნარებს ფლობს ყველა კურსდამთავრებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:31

დასრულების დრო: 21:11

21:11 საათზე, საბჭოს შემოუერთდნენ გიორგი ლაღანიძე, თეონა მატარიძე და ნინო ჭალაგანიძე.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახული შეფასებები და მიიჩნია, რომ პირველი და მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, უნდა შეფასდეს, როგორც - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, იყოს რეალისტური და შესაბამისი მოცემული სწავლი საფეხურისთვის, და შესაბამისად დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკა.
- გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსები და გასწორდეს წინაპირობები პრერეკვიზიტები (კორექტირდეს ან ჩაემატოს), საჭიროების მიხედვით მიეთითოს ძირითადი ლიტერატურის უახლესი გამოცემები.
- გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსები და გასწორდეს წინაპირობები (კორექტირდეს ან ჩაემატოს), საჭიროების მიხედვით მიეთითოს ძირითადი ლიტერატურის უახლესი გამოცემები.
- დეტალურად გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი.

რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგირედაქციით:

- გადაიხედოს პროგრამის მიზნები, მოხდეს მათი დაზუსტდება და დაკონკრეტება.
- პროგრამის მიზანში, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მომიჯნავეს სფეროებში, გასათვალისწინებელია ასევე ეკოლოგია, გარემოსდაცვა, ბუნებათ სარგებლობა, ან სასურველია „და სხვა“-მითითება.
- ვინაიდან, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანია, სასურველია თვითშეფასების ჯგუფში უფრო აქტიურად იყოს ჩართული სტუდენტი/სტუდენტები, კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულები და დამსაქმებელი/ დამსაქმებლები.
- გაიზარდოს ქიმიის კომპონენტი და შეიქმნას მინიმუმ სასწავლო კურსი, რომლებშიც ასწავლიან შემდეგ თემებს:

ა) ზოგადი და არაორგანულ ქიმიის (ნაწილობრივ არსებობს),

ბ) ფიზ-კოლოიდური ქიმიის საკითხებს, ანალიზური და ფიზიკური ქიმიის კვლევის მეთოდებს,

გ) ორგანული ქიმიის თემებს.

- სასწავლო კურსებში გაძლიერდეს ლაბორატორიული მუშაობის კომპონენტი.
- დაკონკრეტდეს, ლაბორატორიული მეცადინეობების თემატიკა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა „მიკრობიოლოგიის“ სასწავლო კურსში.
- შეიქმნას ლაბორატორიულ ცხოველთა მოვლისა და გამოყენების ინსტიტუციური ეთიკური საბჭო, რომელიც გასცემს დასკვნებსში და საუნივერსიტეტო იმ კვლევებზე ან სასწავლო კურსებზე, რომლებიც ლაბცხოველების გამოყენებას საჭიროებს.
- გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა.
- კურიკულუმის რუკაში დაზუსტდეს თუ რა სიძლიერით გადის თითოეულ შედეგზე თითოეული საგანი(A, B, C...).გაძლიერდეს სტუდენტების ტრანსფერული ცოდნისდა უნარების შეფასება, რათა შეფასდეს რამდენად ეფექტურად შეუძლია სტუდენტს მიღებული ცოდნის პრობლემაზე ორიენტირება და მისი გადაჭრა.
- ექსტრაკურიკულური აქტივობების მეტად გაუმჯობესება.უფრო მეტად განვითარდეს მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტების დამსაქმებლებთან ურთიერთობას და დასაქმების პროცესს. სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში, გამოიკვეთა დამატებითი ტრენინგების საჭიროების სასურველობა, კერძოდ ტექნიკური უნარების

დეფიციტი, საბიბლიოთეკო და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მოძიების კუთხით.

- სასურველია, კურსებისა და პროგრამის განვითარებისათვის ევროპელი ექსპერტებისგან მიღებულ უკუკავშირებს ქონდეს რეგულარული ხასიათი.
- მემორანდუმების გამრავალფეროვნება და სხვადასხვა პროფილის დამსაქმებელთან ურთიერთობების გაუმჯობესება.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახული შეფასებები და მიიჩნია, რომ პირველი და მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, უნდა შეფასდეს, როგორც - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

- გაიწეროს დეტალური პროგრამის ბიუჯეტი.

რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგირედაქციით:

- კურიკულუმის რუკაში დაზუსტდეს, თუ რა სიძლიერით გადის თითოეულ შედეგზე თითოეულისაგანი (A, B, C...);
- სასურველია პროგრამის მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს ინგლისური ენის დაზასტურების საკითხი;

- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა სილაბუსებში კარგად იყოს გააზრებული და წარმოდგენილი იყოს პრაქტიკული ხასიათის სილაბუსებში, რათა შესაძლებელი იყოს რეალურად გაიზომოს რამდენად გამოუმუშავდა აღნიშნული უნარები სტუდენტს;
- გაიწეროს დეტალური ნსტრუქცია(SOP-ები)თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა;
- სასურველია პროფესიული უნარების მეტად განვითარება გაუმჯობესდეს სასწავლო კომპონენტში პრაქტიკის გაძლიერების საფუძველზე;
- სასურველია მეტად გაუმჯობესდეს სწავლების მეთოდოლოგიაში ელექტრონული სერვისების მიწოდება.
- გაძლიერდეს სტუდენტების პრაქტიკული ცოდნის და ტრანსფერული ცოდნისგან მავითარებელი უნარების შეფასება, რათა შეფასდეს რამდენად ეფექტურად შეუძლია სტუდენტს მიღებული ცოდნის პრობლემაზე ორიენტირება და მისი გადაჭრა;
- ექსტრაკურსულური აქტივობების გაუმჯობესება, კარიერული სერვისების მეტი აქტიურობა, სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა;
- გამოიკვეთა დამატებითი ტრენინგების საჭიროების აუცილებლობა, კერძოდ გამოიკვეთა ტექნიკური უნარების დეფიციტი, საბიბლიოთეკო და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მოძიების კუთხით;
- სასურველია, კურსებისა და პროგრამის განვითარებისათვის უკუკავშირების მიღება იყოს რეგულარული ხასიათის.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახული შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

რჩევებიჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- სასურველია სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს უცხოელი კოლეგების ჩართულობით;

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში უცხოელი (არაქართულენოვანი) სტუდენტის
- ჩარიცხვის შემთხვევაში სასურველია გაიწეროს ქართულ ენის ცოდნის დონის ზღვარი;
- სასურველია არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზება დოქტორანტებისათვის;
- სასურველია სხვადასხვა ტიპის სემინარების მოწყობა ეკონომიკური აგენტების წარმომადგენლების მონაწილეობით. ერთობლივი საგრანტო პროექტების ინიცირება/განხორციელების მიზნით;
- სასურველია შეფასების სისტემაში პრაქტიკული კომპონენტის შეფასების კომპონენტში მეტი მრავალფეროვნება;
- ჩამოყალიბებულ იქნეს „ცხოველთა მოვლის და გამოყენების ინსტიტუციური კომიტეტი“;
- სასურველია, მემორანდუმების გაფორმების გაფართოება სხვადასხვა პროფილის დამსაქმებლებთან.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახურლი შეფასებები და მიიჩნია, რომ პირველი, მეორე და მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, უნდა შეფასდეს, როგორც - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

- რეკომენდირებულია საჭიროების მიხედვით განახლდეს ძირითადი ლიტერატურა;
- პროგრამაში გამოიკვეთოს უჯრედულ კულტურებზე მუშაობის მეთოდები;
- წარმოდგენილი იყოს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი.

რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- გადაიხედოს სილაბუსები (უჯრედის ბიოლოგიის, გამოყენებითი გენეტიკის და მოლეკულური ბიოლოგია 1, მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია, ტოქსიკოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, გენეტიკა მედიცინაში, დაავადებების ბიოლოგიის საფუძვლები) და ზოგიერთ სილაბუსში კორექტირდეს პრერეკვიზიტები;
- გაიზარდოს ქიმიის კომპონენტი და შეიქმნას მინიმუმ 3 სასწავლო კურსი, რომლებშიც ასწავლიან შემდეგ თემებს:
 1. ზოგადი და არაორგანულ ქიმიის (ნაწილობრივ არსებობს),
 2. ფიზკოლოიდური ქიმიის საკითხებს, ანალიზური და ფიზიკური ქიმიის კვლევის მეთოდებს,
 3. ორგანული ქიმიის თემებს,
 4. სასწავლო კურსებში გაძლიერდეს ლაბორატორიული მუშაობის კომპონენტი,
 5. ზოგიერთ სილაბუსში გადაიხედოს თემების თანმიმდევრობა, რელევანტურობა და დაემატოს რელევანტური საკითხები (მაგ. დაავადებათა ბიოლოგიური საფუძვლები, ფარმაკოლოგია...);
- შეიქმნას ლაბორატორიულ ცხოველთა მოვლისა და შენახვის ეთიკური საბჭო, რომელიც გასცემს დასკვნებში და საუნივერსიტეტო იმ კვლევებზე, რომლებიც ლაბცხოველებზე უნდა ჩატარდეს;
- გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა;
- სხვადასხვა საგნებში დაინერგოს და განვითარდეს სტუდენტების ანალიტიკური ცოდნის, ასევე პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი ცოდნის გამოყენების უნარების შეფასება;
- კურიკულუმის რუკაში დაზუსტდეს თუ რა სიძლიერით გადის თითოეულ შედეგზე თითოეული საგანი (A, B, C...);
- გამოიკვეთა დამატებითი ტრენინგების საჭიროების აუცილებლობა, კერძოდ პერსონალის ტექნიკური უნარების დეფიციტი, საბიბლიოთეკო და საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ლიტერატურის მოძიების კუთხით;
- სასურველია სხვადასხვა მექანიზმების დანერგვა გამოკითხვებში ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად.

გადაწყვეტილება:

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახული შეფასებები და მიიჩნია, რომ პირველი და მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, უნდა შეფასდეს, როგორც - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

რჩევებიჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- გადახედულ იქნას გამოყენებითი ტოქსიკოლოგიის შინაარსი და აღმოიფხვრას თემატური გადაფარვა ამავე პროგრამის საბაკალავრო საფეხურის საგანთან-პათოლოგიათა ბიოლოგიური საფუძვლები;
- ძირითადი ლიტერატურიდან ამოღებულ იქნას რუსულენოვანი წყაროები;
- განხილულ იქნას სასწავლო კურსის „კლინიკური ფარმაცოლოგიის პრინციპების აუცილებლობა აბიოტექნოლოგიებისთვის და მისი ჩანაცვლების შესაძლებლობა ბიოტექნოლოგიის რომელიმე სპეციალურ სფეროში“;
- შეიქმნას ლაბორატორიულ ცხოველთა მოვლისა და შენახვის ეთიკური საბჭო, რომელიც გასცემს დასკვნებსში და საუნივერსიტეტო იმ კვლევებზე, რომლებიც ლაბ ცხოველებზე უნდა ჩატარდეს;
- გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია(SOP-ები)თუ როგორი მუშავენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა;
- კურიკულუმის რუკაში დაზუსტდეს თუ რა სიძლიერით გადის თითოეულ შედეგზე თითოეული საგანი(A, B, C...);
- სასურველია სხვადასხვა მექანიზმების დანერგვა გამოკითხვებში ჩართულობის ხარისხისა და მოტივაციის ასამაღლებლად.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

20:59 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

21:11 საათზე საბჭოს სხდომა განახლდა.

6. მეექვსესაკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 ნოემბრის # 733
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 - ფიზიკა
12	კვალიფიკაციის კოდი	0533
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 კრედიტი
15	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N26, თბილისი, 0186, საქართველო მეორე სასწავლო კორპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მეშვიდე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ
---	---

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 27 ნოემბრის # 727
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მათემატიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მათემატიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0541 მათემატიკა
12	კვალიფიკაციის კოდი	0541
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 კრედიტი
15	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N26, თბილისი, 0186, საქართველო მეორე სასწავლო კორპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადა მაკა კაჭარავამ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ვინაიდან სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" და "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა თანმიმდევრობის დაცვით, შესვენების გარეშე განეხილათ ორივე პროგრამა და

ორივე პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ემსჯელათ ერთი შესვენების ფარგლებში.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რევაზ შანიძემ აღნიშნა, რომ „ფიზიკის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უნივერსიტეტებს უჭირდათ სახელმწიფოს პოლიტიკიდან გამომდინარე. შესაბამისად აბიტურიენტებიც ნაკლები იყვნენ. პროგრამის სისუსტეს, სწორედ სტუდენტთა სიმცირე წარმოადგენდა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტი, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა. ექსპერტთა დასკვნის მიხედვით პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები გაიწეროს ქულების მიხედვით.
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების წარმართვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების კუთხითაც უნდა განხორციელდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ ინსტიტუციის წარმომადგენლები მზად იყვნენ რეკომენდაციები გაეთვალისწინებინათ. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომი შეფასებული იყო, თუმცა კომპონენტები არ იყო ვიწროდ ჩაშლილი. ამ მიმართულებით გააგრძელებდა დაწესებულება მუშაობას. ასევე, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების წარმართვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების კუთხითაც უნდა განხორციელდეს.“ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად დაიგეგმებოდა შესაბამისი აქტივობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების დასკვნა მიუთითებდა იმაზე, რომ კარგი ხარისხის იყო პროგრამა. საბჭოს წევრი დაინტერესდა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მოწოდებული შრომის ბაზრის კვლევა უფრო მეტად იყო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, ხოლო ხომ არ იყო შესაძლებელი შრომის ბაზრის კვლევის გათვალისწინებით განესაზღვრა დაწესებულებას რა მიმართულებით განეხორციელებინა პროგრამა, (მაგალითად ფართო სპეციალიზაციიდან გადასულიყო ვიწრო სპეციალიზაციაზე) რომ დაძლეულიყო სტუდენტთა სიმცირესთან დაკავშირებული პრობლემა.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ ასევე კითხვით მიმართა დაწესებულებას. როგორია აკადემიური დონე, როდესაც სტუდენტის აბარებს აღნიშნულ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ განმარტა, რომ მისაღებია ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დაფიქსირებული რჩევა. დაწესებულების წარმომადგენლება ჩაატარეს ვებ-გვერდების ანალიზი, თუმცა დასაქმების კუთხით ფიზიკოსზე მოთხოვნა ნაკლებია, რაც წარმოადგენს დიდ პრობლემას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვლადიმერ კირცხალიამ, სპეციფიკის შევიწროვებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები მაქსიმალურად

ითვალისწინებენ სოხუმის ფიზიკა ტექნიკის ინსტიტუტის თემატიკა. მაქსიმალური ყურადღება ეთმობა მყარი სხეულების ფიზიკას, ზეგამტარობას, აერო და ჰიდრო დინამიკის ამოცანების ამოხსნას. დაწესებულების წარმომადგენლებს აქვთ ვარაუდი რომ ახლო მომავალში იქნება წარმატებული აღნიშნული მიმართება. ასევე პროგრამაზე დაემატა ახლი საგანი „აერო დინამიკის საფუძვლები“, რაც წარმოადგენს ექსკლუზივს, რადგან სილაბუსში გათვალისწინებულია ის ახალი მიღწევები და სტატიები, რომლებიც განხორციელდა სოხუმის უნივერსიტეტში. ასევე პრე-კალკულუსის საჭიროებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე აბარებენ საშუალო და დაბალი მოსწრების აბიტურიენტები. აქედან გამომდინარე პრეკალკულუსის არსებობა აუცილებელია პროგრამაზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 6 კრედიტი.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, ხომ არ ქონდათ დაწესებულების წარმომადგენლებს შესწავლილი, თუ რა ინტრესი ქონდათ აბიტურიენტებს აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. ასევე ხორციელდება თუ არა რაიმე სახის ღონისძევა სტუდენტთა მოზიდვისათვის და დასაქმებულ კურსდამთავრებულებს აქვთ თუ არა შეხება ფიზიკასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნულ შეკითხვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ პროგრამის რამდენიმე სტუდენტი ასწავლიდა სხვადასხვა სხკოლებში. ხოლო ღონისძიებებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებს სისტემატიურად დაჰყავთ სტუდენტები სოხუმის ფიზიკა ტექნიკის უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, აცნობენ თემატიკებს, წარმატებებს და ასევე წარმატებულ სტუდენტებს პირდებიან სხვადასხვა პროექტებში ჩართვას, რომლებიც ხორციელდება უცხოელ პარტნიორებთან ერთად.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ აკრედიტაციის ვიზიტი და შეხვედრები 2021 წლის 18-19 მაისს ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც, ასევე შემოწმდა ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, რასაც დადებითად აფასებენ ექსპერტები. ასევე პოზიტიური იყო ექსპერტების შეფასება აკადემიური პერსონალის მიმართ. აბიტურიენტთა მომართვიანობის კუთხით, აღნიშნული პროგრამა უფრო მდგრადი იყო.

რეკომენდაციები:

- საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები გაიწეროს ქულების მიხედვით;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების წარმართვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების კუთხითაც უნდა განხორციელდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ „მათემატიკის“ პროგრამაზე იგივე რეკომენდაციები იყო რაც „ფიზიკის“ პროგრამაზე, აქედან გამომდინარე დაწესებულების პოზიცია იგივეა. ასევე, წინა სასწავლო წელთან დაკავშირებით განმარტა, რომ იყო პრობლემური, რაც გამომდინარეობდა იქედან, რომ ეროვნულ გამოცდებზე მათემატიკის გამოცდა ბარდებოდა ყველგან, რამაც გამოიწვია აბიტურიენტების არათანაბრად გადანაწილება. დაწესებულების წარმომადგენლებს აქვთ მოლოდინი, რომ აღნიშნული პრობლემა ახალი სასწავლო წლისთვის გამოსწორდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ორიენტაცია ადგილობრივი პოტენციური დამსაქმებლებზე.

საბჭოს წევრი თეონა მატარიძე დაინტერესდა „აკადემიურ წერასთან“ დაკავშირებით და კითხვით მიმართა ინსტიტუციას, სტუდენტი რომელიც წერს საბაკალავრო ნაშრომს რამდენად არის მზად დაიცვას საბაკალავრო ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს „ალგებრის“ და „გეომეტრიის“ მიმართულებებთან დაკავშირებით, სადაც კარგად არის წარმოდგენილი შინაარსი. ხომ არ დაემატა რაიმე რეკრედიტაციის პირობებში აღნიშნულ მიმართულებებს და თუ არსებობს რაიმე ფინანსური რესურსი იმისათვის, რომ განახლდეს ლიტერატურა. ასევე არჩევით კურსებში მინიჭებული აქვს მცირე კრედიტები და რამდენად არის შესაძლებელი თემატიკის დაფარვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შეკითხვებს უპასუხა და განმარტა, რომ საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი მოიცავს ურთიერთობას თემის ხელმძღვანელთან, მათემატიკის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სტუდენტი ფლობდეს ტექნოლოგიებს, ხოლო სხვა სტრუქტურულ საკითხებს სტუდენტი განიხილავს თემის ხელმძღვანელთან ერთად. ამ კუთხით საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას პრობლემა არ ექმნება. ასევე დაწესებულების წარმომადგენლებს ცალკე გამიჯნეს „ტოპოლოგი“, გაძლიერდა ფუნდამენტური კურსები. სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით აქვს დაწესებულებას რესურსი, თუმცა არ არის შესაბამისი ლიტერატურა, ამიტომ პროგრამა ორიენტირებულია ადგილობრივი სასწავლო მასალის დამუშავებისაკენ, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები მზად არიან სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით გამოიყოს რესურსი. ხოლო არჩევით კურსებთან დაკავშირებით, პროგრამაში ისეა განსაზღვრული, რომ ნებისმიერმა სტუდენტმა მისთვის სასურველი ნებისმიერი მიმართულება აირჩიოს, რათა ფართო არჩევანის საშუალება ჰქონდეს.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები არაერთგვაროვნად იყო გაწერილი და რით იყო ეს გამოწვეული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ არაერთგვაროვანი ჩანაწერი შესაძლოა ყოფილიყო უნარებში. დაწესებულების მიზანი იყო, რომ აქტიურ ზმნებში გადაეყვანა ყველა სწავლის შედეგი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 21:34

დასრულების დრო: 22:04

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახული შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

- რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები გაიწეროს ქულების მიხედვით;

- რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- სასურველია მიცეს ზოგადი ფიზიკის ფუნდამენტური დარგების ფართო ცოდნა-სიტყვა „ფართო“ შეიცვალოს მისცეს საბაზისო ცოდნა ფიზიკაში, რაც უფრო შეესაბამება სწავლების საფეხურს;
- ადგილობრივან/და საერთაშორისო ანალოგიური პროგრამების განხილვა და გამოყენება, რათა წარმოდგენილი პროგრამა გახდეს კონკურენტუნარიანი თანამედროვე ბაზარზე;
- სასურველია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება;
- გაძლიერდეს სტუდენტების ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებლებთან და მათთან შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი;
- ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტმა შეადგინოს აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით;
- პროგრამამ უნდა იზრუნოს ახალგაზრდა პედაგოგიური კადრის მოზიდვაზე;
- სასურველია გაძლიერდეს უნივერსიტეტის ხელშეწყობა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები, გაცვლითი პროგრამები, სკოლასემინარები, ტრენინგები) მონაწილეობის თვალსაზრისით და, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოს ამ ტიპის ღონისძიებების ჩატარება;
- ლაბორატორული და ექსპერიმენტული სამუშაოების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია მოხდეს თანამედროვე დანადგარების დამატებით შექმნა;
- სასურველია განხორციელდეს საბიბლიოთეკო ფონდის განახლება და გამდიდრება თანამედროვე გამოცემებითა და სახელმძღვანელოებით;
- სასურველია მხოლოდ ფაკულტეტის ბიუჯეტით განისაზღვროს აუცილებელი ხარჯები ან თუკი პროგრამულ დონეზე მოხდება ბიუჯეტის ჩაშლა, იყოს უფრო მკაფიო და დეტალური;
- სასურველია ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს გარკვეული თანხები, რომელიც მიმართული იქნება საერთაშორისო მივლინების, სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის და სხვა და სხვა სახის ღონისძიებების დაფინანსებისათვის;
- სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, უფრო სიღრმისეული ანალიზის წარმოება და მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, ერთიანი რეაგირების ანგარიშის წარმოდგენის გზით. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული რეაგირებებიც;
- სასურველია შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების ეფექტური მექანიზმი და შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდეს შესაბამისი ანალიზი;
- სასურველია უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა;
- სასურველია მკაფიოდ იკვეთებოდეს, თუ როგორ იყენებს უნივერსიტეტი გარე ექსპერტის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, შეფასების შედეგებს და რეკომენდაციებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით;
- სასურველია დაინერგოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება ან/და პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება განხორციელდეს სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის გაუმჯობესებას.

გადაწყვეტილება:

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნებში ასახურლი შეფასებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მათემატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

- საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები გაიწეროს ქულების მიხედვით;
- რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები:

- გაძლიერდეს სტუდენტების ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებლებთან და მათთან შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი;
- ყოველი სემესტრის დასაწყისში ფაკულტეტმა შეადგინოს აკადემიურ პერსონალის სტუდენტებთან კონსულტაციების განრიგი და პარტამენტების მიხედვით;
- სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, უფრო სიღრმისეული ანალიზის წარმოება და მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება;
- სასურველია შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების ეფექტური მექანიზმი და შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდეს შესაბამისი ანალიზი;
- სასურველია აუნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის უფრო მეტად დამოუკიდებლობა და ანალიზის პრაქტიკაში განხორციელება. უნდა გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა და მხარდაჭერა სამეცნიერო, კვლევითი, პროფესიული განვითარების პროგრამებსა და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში
- სასურველია უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხები, როგორცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტების კმაყოფილება;

- სასურველია მკაფიოდ იკვეთებოდეს, თუროგორი ყენებს უნივერსიტეტი გარე ექსპერტის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, შეფასების შედეგებს და რეკომენდაციებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.
- სასურველია გაიზარდოს ხელშეკრულებებისა და თანამშრომლობის მემორენდუმების რიცხვი.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:05 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნაცვლიშვილი ეკატერინე



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ

